# ტექნიკის სიახლეებს—გზა წარმოებისაკენ!

## მასების თაოსნობა —ტექნიკურ პროგრესს

მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. საბჭოთა ადამიანების ყოველი დღე აღსავსეა შთაგონებული შემოქმედებითი შრომით ნათელი მომავლის —კომუნიზმის აშენებისათვის. საწარმოებში და მშენებლობებზე, საკოლმეურნეო სოფელში წარმოიშობა ბევრი ახალი თაოსნობა. დაუშრეტელ წყაროდ ჩქეფს ხალხის ინიციატივა, რომელიც ემსახურება პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. „კომუნისტური მშენებლობის საქმე, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — მილიონთა დიადი საქმეა, მთელი ხალხის საქმეა".

შვიდწლედის დავალებათა, მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის თავდადებით შრომობენ, ბევრ კარგ თაოსნობასა და ინიციატივას იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც. ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობის ყველა უბანზე ძლიერდება მუშაობის ტემპი, ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება.

მრეწველობაში და სოფლად ავლინებენ და წარმოების სამსახურში აყენებენ ახალ-ახალ რეზერვებს. ბევრგან დააჩქარეს წარმოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია. ნაყოფიერად მუშაობენ ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, ეწევიან მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, ზრუნავენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ ახლა, როცა თითქმის ყველგან უკვე შეაჯამეს გასული სამეურნეო წლის შედეგები, როცა გადადგმულია პირველი ნაბიჯები შვიდწლედის მეხუთე წლის დავალებათა შესრულებისათვის, განსაკუთრებით ნათლად ჩანს ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ საგრძნობია ჩვენი შრომის. ჩვენი მუშაობის ბევრ უბანზე. ყველგან საჭირო სერიოზულობით როდი ეკიდებიან მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას, ყველგან როდი დგანან დროის მოთხოვნათა დონეზე.

**განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკურ პროგრესს, მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეთა წარმოებაში დანერგვას, მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას. ენერგიულად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საწარმოებში მოძველებული ტექნიკა შეიცვალოს ახლით, შემუშავდეს და დაინერგოს პროგრესული ტექნოლოგია. ეს არის შრომის ნაყოფიერების გადიდების, შრომაში ახალ გამარჯვებათა მოპოვების ერთ-ერთი მთავარი პირობა.**

შვიდწლედის მეხუთე წელი ბევრ სერიოზულ სამუშაოს გვთავაზობს. მრეწველობის დარგში 1963 წელს გათვალისწინებულია საერთო პროდუქციის გამოშვების ზრდა 6,6 პროცენტით. გადიდდება ფოლადის, ნაგლინის და ფოლადის მილების წარმოება. განვითარდება ქიმიური მრეწველობა. 17,1 პროცენტით გაიზრდება ელექტროენერგიის საერთო გამოშვება. მნიშვნელოვნად გადიდდება სახალხო მოხმარების საგნების წარმოება.

ახალი ზღუდეები აქვთ ასაღები სოფლის მეურნეობის მუშაკებს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დასამუშავებელი მიწის ფართობი გაიზრდება 50 ათასი ჰექტარით. მიმდინარე წლის დასასრულისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განზრახულია მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაიზარდოს 703 ათას სულამდე. მნიშვნელოვნად გადიდდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოცულობა.

ამ დიდი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს დიდ ენერგიას, წლის დასაწყისიდანვე თვითეულის მაღალნაყოფიერ, მოფიქრებულ შრომას. არ უნდა დავკარგოთ არც ერთი დღე, არც ერთი საათი, უნდა გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ ყველა რეზერვი. ყოველი ღონისძიებით უნდა გავაუმჯობესოთ შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა, წარვმართოთ ჩვენი ადამიანების ცოდნა და გამოცდილება 1963 წლის კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.

ახალი წლის ჯერ ერთი თვეც არ გასულა, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უკვე მოპოვებულია პირველი სერიოზული წარმატებანი. ჩვენი ადამიანები შრომით ვახტზე დგებიან და გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს. 1963 წლის გასული ორი დეკადის განმავლობაში წარმატებით იშრომეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში. შრომაში კარგ მაჩვენებლებს აღწევენ რუსთაველი და ზესტაფონელი მეტალურგები, ჭიათურელი მაღაროელები, ქუთაისელი ავტომშენებლები. შემოქმედებითი შრომისა და აქტივობის დიდი დღეებია რესპუბლიკის სოფლებშიც.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ადამიანები აღსავსენი არიან შემოქმედებითი მისწრაფებით. მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკის განვითარების ახალი მიჯნების მისაღწევად საჭიროა თვითეული საწარმოს რიტმული მუშაობა, რომ აქედანვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი წლევანდელ უხვ მოსავალს, დავალებანი უნდა შევასრულოთ ყოველდღე, ყოველ დეკადაში, ყოველ თვეში.

საქართველოს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას, ეს აქტივობა მთლიანად მიმართონ მიმდინარე წლის, შვიდწლედის მეხუთე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება, რომელიც იწონებს კომბინატ „ლუგანსკქიმმშენის" კოლექტივისა და უკრაინის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სევეროდონეცკის ორგანიზაციათა დიდმნიშვნელოვან ინიციატივას, რომლებმაც მოუწოდეს მშრომელებს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ვადაზე ადრე აამოქმედონ ქიმიური მრეწველობის ახალი სიმძლავრეები შვიდწლედის მეხუთე წელს. ამ კომბინატის კოლექტივმა და სამონტაჟო ორგანიზაციებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულება, რომ ვადაზე აამოქმედებენ 1963 წელს ყველა ასამუშავებელ ობიექტს ლისიჩანსკისა და რუბეჟნოეს ქიმიურ კომბინატებსა და დონეცკის სოდის ქარხანაში. მშენებლებმა და მემონტაჟეებმა გადაწყვიტეს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მექანიზაციის საშუალებათა უკეთ გამოყენების, ასაწყობ კონსტრუქციათა წარმოებისა და გამოყენების მოცულობის გადიდების, აგრეთვე კადრების სწავლებისა და მათი ოსტატობის ამაღლების გზით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება სულ ცოტა 16 პროცენტით 1962 წლის დონესთან შედარებით. თაოსნობის ინიციატორებმა გადაწყვიტეს გადაჭარბებით შეასრულონ ცვლის დავალებანი თვითეულ მშენებლობაზე, უბანზე, ბრიგადაში.

ამ პატრიოტული ინიციატივის ფართო გავრცელება ახლა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ყურადღებით მოეკიდებიან ამ საქმეს ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ყოველი ღონისძიებით უნდა დავუჭიროთ მხარი ამ თაოსნობას, გავუწიოთ მას საჭირო დახმარება, მოვაწყოთ შეჯიბრების მსვლელობის მუდმივი და ფართო გაშუქება პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, განვაზოგადოთ და გავავრცელოთ მოწინავე მშენებლობათა და საწარმოთა გამოცდილება, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

**საბჭოთა მშრომელების, მასების მძლავრი ენერგია მთლიანად ჩავაყენოთ შვიდწლედის დავალებათა სასახელოდ შესრულების სამსახურში; ჩვენი ადამიანების ინიციატივა, ცოდნა და გამოცდილება წარვმართოთ კომუნისტური მშენებლობის დიდი ამოცანების გადაწყვეტისაკენ!**

## ტექნიკამ უზრუნველყო რენტაბელობა

**თბილისის** ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის კოლექტივი ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის გზით გაბედული ნაბიჯით მიიწევს წინ, შვიდწლედის ახალი მიჯნების დასაპყრობად.

ქარხნის კონსტრუქტორების მიერ გაუმჯობესებულ იქნა ბუქსაობის რელეს კონსტრუქცია, რის შედეგადაც მიღებულია ამ აპარატის მგრძნობიარობის გაზრდა, გაბარიტული ზომების, წონის შემცირება და 60 პროცენტით სპილენძის ეკონომია. სააპარატო საამქროში გაუმჯობესებულ იქნა დაბრკოლებაჩამხშობი დროსელის ჩართვის სქემა, რითაც ნახევრად შემცირდა ამ აპარატების რაოდენობა. ამ ღონისძიების განხორციელება საწარმოს წლიურად 15 ტონა სპილენძს უზოგავს.

სერიოზული ყურადღება ექცევა წარმოებაში პლასტმასის ნაკეთობათა დანერგვას. გამოშვებულ იქნა ელმავლების საცდელი ნიმუშები, რომლებზეც დაყენებულია მართვის გენერატორები პლასტმასის კორპუსიანი კოლექტორებით. ამ ელმავლების საექსპლოატაციო გამოცდამ კარგი შედეგები გამოიღო. ამ ღონისძიების ფართოდ დანერგვა წარმოებას საშუალებას მისცემს მნიშვნელოვნად შეამციროს ელმავლის თვითღირებულება და უფრო საიმედო გახადოს მისი მუშაობა.

ამ და ბევრი სხვა სიახლის დანერგვის გზით საწარმოს კოლექტივმა გასული წელი მაღალი ეკონომიური მაჩვენებლებით დაამთავრა, მიიღო ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში 170 ათასი მანეთი შეიტანა.

## სიახლე, ეკონომია

**თბილისი.** ავეჯის წარმოების გაერთიანება „განთიადის" № 6 საწარმოში ჯეროვანი ყურადღება ექცევა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას. ახალი ტექნიკის დანერგვით მიღწეულია ნედლეულის, მასალების ეკონომია და შრომის ნაყოფიერების ზრდა.

ავეჯის ცალკეული დეტალების დაფანერება უკანასკნელ დრომდე ხელით წარმოებდა და თვითეული მათგანის გაშრობას ოთხი საათი სჭირდებოდა. საწარმოში დადგეს 400 ტონის სიმძლავრის ჰიდრავლიკური ცხელი წნეხი, რის შემდეგ წარმოების ამ პროცესებს მანქანები ასრულებენ, და ყოველი ნაწილის გაშრობისათვის საკმარისია 7-8 წუთი. ახალი დანადგარის ღირსება იმითაც არის აღსანიშნავი, რომ სადურგლო წებო შეიცვალა სინთეზური წებოთი და ყოველწლიურად დაიზოგება 18 ტონა წებო და, რაც მთავარია, შრომის ნაყოფიერება ამაღლდება 30 პროცენტით.

ვალცებიანი ჩარხით ავტომატურად წარმოებს წებოს წასხება დეტალებზე, რაც დღემდე ხელით სრულდებოდა. ამან 15 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება. ამ წესით დამუშავებული დეტალები უფრო ხარისხიანია და მათი დამზადებისათვის გაცილებით ნაკლები დროა საჭირო.

## ხალხის ნებით

**რიო-დე-ჟანეირო,** 23 იანვარი. (საკდესი). ბრაზილიის ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატამ ხმის დიდი უმრავლესობით მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ გაუქმდეს ბრაზილიის კონსტიტუციის გასწორებანი, რომლის საფუძველზე ძლიერ შეიკვეცა რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებანი. რამდენადაც სენატმა მიიღო ანალოგიური გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 18 იანვარს, უქმდება პარლამენტარული სისტემა, რომელმაც 16 თვე იარსება ბრაზილიაში, და კვლავ იქმნება გამგეობის საპრეზიდენტო ფორმა.

ბრაზილიის პრემიერ-მინისტრი ერმეს ლიმა უკვე გადადგა. ახალ მთავრობას შექმნის ბრაზილიის პრეზიდენტი გულარტი. აქ მოელიან, რომ მთავრობაში, ალბათ შევლენ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ერმეს ლიმა, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სანტიაგო დანტასი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტანკრედო ნევესი და ბრაზილიის მთელი რიგი სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

**КОМУНИСТИ** — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 20 (12532)
ხუთშაბათი, 24 იანვარი, 1963 წ.
ფასი 2 კაპ.

## სკკპ დელეგაცია სამშობლოში გამოემგზავრა

ბერლინი, 22 იანვარი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობას იღებდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის მუშაობაში, ბერლინიდან სამშობლოში გაემგზავრა.

აღმოსავლეთ ვოგზალში დელეგაცია გააცილეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა.

ვოგზალში ნ. ს. ხრუშჩოვმა და ვ. ულბრიხტმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ვარშავა, 23 იანვარი. (საკდესი). ბერლინიდან დაბრუნების დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრებთან ერთად, რომელიც მონაწილეობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის მუშაობაში, 22 იანვარს გვიან საღამოს გაჩერდა კუნოვიცში, პოლონეთის სადგურში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე.

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, ნ. ს. ხრუშჩოვის შესახვედრად ჩავიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზენონ ნოვაკი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მეჩისლავ მოჩარი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პოზნანის სავოევოდო კომიტეტის პირველი მდივანი იან შიდლიაკი და ზელენა-გურის სავოევოდო კომიტეტის მდივნები.

ვოგზლის პერონზე შეიკრიბნენ ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ლიუბუშის მხარის მოსახლეობის დელეგაციები. მათი სახელით ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმა ზელენა-გურის სავოევოდო სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იან ლემბასი.

20 წუთის გაჩერების დროს ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად ესაუბრა შემხვედრთ. მან გულითადი სალამი გადასცა ლიუბუშის მხარის მოსახლეობას.

ვარშავა, 23 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. თ. ილიჩოვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. მურავიოვას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის გაზეთ „იზვესტიას" მთავარი რედაქტორის ა. ი. აჯუბეის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორის პ. ა. სატიუკოვის შემადგენლობით, რომელიც მონაწილეობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის მუშაობაში, მოსკოვს მიმავალმა გაიარა ვარშავა.

ვარშავის ვოგზალში სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები იუზეფ ცირანკევიჩი, ზენონ კლიშკო, სსრ კავშირის პოლონეთის საელჩოს მრჩეველი-დესპანი ნ. მ. სილუიანოვი, აგრეთვე სსრ კავშირის პოლონეთის საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლები, საბჭოთა და პოლონელი ჟურნალისტები.

პოლონეთის ტერიტორიაზე ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ დელეგაციის წევრებს ახლდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზენონ ნოვაკი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მეჩისლავ მოჩარი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ა. ბ. არისტოვი.

ვლადისლავ გომულკა, იუზეფ ცირანკევიჩი, ზენონ კლიშკო შეხვდნენ ვაგონის სალონში ნ. ს. ხრუშჩოვთან და ნ. ვ. პოდგორნისთან, სადაც გაიმართა გულთბილი საუბარი.

## ეს დღეები აგიტპუნქტებში

### პირველი საუბრები

**თბილისი.** მახარაძის ქუჩა. ხელოვნების მუშაკთა სახლი. № 5 საარჩევნო უბანთან არსებული აგიტპუნქტი. ამ დღეებში აქ დიდი გამოცოცხლებაა. საარჩევნო კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით აგიტპუნქტმა საგრძნობლად გააძლიერა მუშაობა. მოსახლეობაში აგიტმასობრივი მუშაობისათვის დამატებით გამოიყო 10 აგიტატორი.

აგიტპუნქტის ხელმძღვანელმა პენსიონერმა აპ. ხახუბიამ ამ დღეებში მოაწყო აგიტატორთა საინსტრუქტაჟო თათბირი, გააცნო აგიტპუნქტის სამუშაო გეგმა.

აგიტატორების ხელმძღვანელობით ამომრჩევლები გუშინ აგიტპუნქტში მუშაობდნენ კედლის გაზეთის „ამომრჩეველთა ხმის" პირველი ნომრის მომზადებაზე. განსაკუთრებულ აქტიობას იჩენდნენ მახარაძის ქ. № 10-ში მცხოვრები დიასახლისები ა. კალაძე და ლ. დარჩია და ჯაფარიძის ქ. № 20-ში მცხოვრები მ. მუმლაძე.

არჩევნების შესახებ პირველი საუბრები უკვე მოაწყეს მოწინავე აგიტატორებმა ს. ჩირინაშვილმა, ზ. მოდებაძემ, ს. ბელამეროვამ ნ. გულიამ და სხვებმა.

**ნ. ჯანელიძე.**

### აგიტპუნქტში ბევრი ხალხია...

აქ არც წინათ შეწყვეტილა მუშაობა, მაგრამ არჩევნების დღის დანიშვნის შემდეგ მისი მოღვაწეობა უფრო შინაარსიანი და სისხლსავსე გახდა. ახლა მშრომელებსაც ხშირად ნახავთ აქ. მათ შორიდანვე იზიდავთ თბილისში, ოქტომბრის ქუჩა № 263-ში მოთავსებული მუდმივმოქმედი აგიტპუნქტი (გამგე ა. პიტირიდი).

განსაკუთრებით ბევრი ხალხია აგიტპუნქტში საღამოს, როცა ნაყოფიერი შრომის შემდეგ ავტოსარემონტო ქარხნის მუშები და მათი ოჯახის წევრები თავს იყრიან აქ.

ყველაფერი აინტერესებთ ამომრჩევლებს: ლექციებიც და მოხსენებებიც, საუბრებიც და კონსულტაციებიც. ისინი ერთობიან ჭადრაკით, შაშით, უსმენენ რადიოს, კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს. ვინ იცის, რამდენი კაცი დაესწრო ამ დღეებში აგიტპუნქტში აგიტატორთა და ამომრჩეველთა შეხვედრას, რომლის თემა იყო აგიტატორთა ამოცანები მოსახლეობის შორის და წარმოებაში დღევანდელ ეტაპზე.

40 აგიტატორი ეწევა მუშაობას ავტოსარემონტო ქარხნის საცხოვრებელი ბინების ტერიტორიაზე. მოწინავე მუშები, წარმოების ოსტატები, ინჟინრები და ტექნიკოსები — აი ვინ არიან აგიტატორები. მათი ერთი ნაწილი აგიტპუნქტში მორიგეობს, მეორე კი — ყოველდღიურად ესაუბრება ამომრჩევლებს.



ეს ფოტოსურათი ჩვენმა კორესპონდენტმა ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხნის № 1 მექანიკურ საამქროში გადაიღო. ოსტატი ჯემალ გოგვაძე (მარცხნივ), მუშები ეთერ აბრამიშვილი და აბესალომ ნინუა ეცნობიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## მზადება გაჩაღდა

**ცხინვალი,** (საკ. კორ.). მაღალ პოლიტიკურ და შრომით ვითარებაში მიმდინარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება სამხრეთ ოსეთში. სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში დღითიდღე უფრო ჩაღდება თვალსაჩინო აგიტაცია. უკვე შეიქმნა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია. მიმდინარეობს კანდიდატების დასახელება საქალაქო და რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიებში.

## ნიკოლაევი ჯაკარტაში

**ჯაკარტა,** 23 იანვარი. (საკდესი). ანდრიან ნიკოლაევის შეხვედრა ჯაკარტის ახალგაზრდობასთან გაიმართა სპორტის სასახლეში, რომელიც ინდონეზიელი მუშებისა და საბჭოთა სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა. მქუხარე ტაშით შეხვდა ინდონეზიის დედაქალაქის ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი რესპუბლიკის ვარსკვლავით დამშვენებულ საბჭოთა კოსმონავტს. ეს ვარსკვლავი პრეზიდენტმა სუკარნომ გადასცა ნიკოლაევს უმაგალითო გმირობისათვის, რომელიც მოახდინა მან კაცობრიობისათვის, მშვიდობისათვის.

## ჩინეთ-განის კომუნიკე

**პეკინი,** 23 იანვარი. (საკდესი). აფრიკა-აზიის სოლიდარობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის ჩინეთმა და ინდოეთმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ უშუალო მოლაპარაკება და მშვიდობიანად გადაჭრან ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხი, ნათქვამია ჩინეთ-განის ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა პეკინში იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მეგობრობის ვიზიტად იმყოფება განის მთავრობის დელეგაცია იუსტიციის მინისტრის ოფორი ატას მეთაურობით.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 6 ქვეყნის წინადადებანი, რომლებიც კოლომბოს თათბირზე შეიმუშავეს, „თავდაპირველ საფუძველს" ქმნიან ამისათვის.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 36 და 37 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ლელაშვილი მიხეილ მიხეილის-ძე** — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ჩიქოვანი აპოლონ ივანეს-ძე** — თბილისის მაუდ-ქსოვილის კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი **რთველიაშვილი იოსებ გიორგის-ძე** — საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისაგან:

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:**

**ზრუიძე რევაზ იაკობის-ძე** — თბილისის ქალაქის კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

**ჩირქეზია ოთარ ევტიხის-ძე** — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისაგან;

**კონჯარია მარგალიტა ხაჯიმეტის ასული** -- გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

**ფხაკაძე ნანი ერასტის ასული** — მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

**აბაშიძე გრიგოლ გრიგოლის-ძე** — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან;

**გოგატაძე ნაირა კირილეს ასული** — მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

**საფაროვი ილიას მაგამედ ოღლი** — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

**ჯიბგაევა ნათელა დიმიტრის ასული** — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ცხინვალის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

**გიადუკიანი რუბენ კარაპეტის-ძე** — თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

**ზაიკინი ივანე ვლადიმერის-ძე** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოსაგან;

**მოქია ლენა პლატონის ასული** — ბათუმის ქარხანა „ელექტროკარის" მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

**ხარაზიშვილი გულიზარ ვლადიმერის ასული** — რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

ქ. თბილისი 1963 წლის 23 იანვარი.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ ახალ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ცვლილებებთან დაკავშირებით სახალხო მოსამართლეების რწმუნებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც მოხდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 30 დეკემბრისა და 1963 წლის 2 იანვრის ბრძანებულებებით, საქართველოს სს რესპუბლიკაში 1960 წელს არჩეულ სახალხო მოსამართლეთა რწმუნებანი გავრცელდეს შესაბამის გამსხვილებულ რაიონებზე, მომავალ არჩევნებამდე.

2. დაევალოს ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, სამტრედიის, ოჩამჩირისა და წყალტუბოს რაიონების სახალხო სასამართლოებს, როგორც გამონაკლისი, მომსახურება გაუწიონ შესაბამის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი.
1963 წლის 23 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

**წყალწაღებულთა** გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის":

1. **ზარაგლიანი** მაქსიმე ამბარცუმის-ძე — დოსააფის მაშველი სადგურის მყვინთავი
2. **იაშვილი** ვახტანგ ვიქტორის-ძე — ამბროლაურის ავტოტრანსპორტის კანტორის შოფერი
3. **მაკარიძე** ვაჟა ვასილის-ძე — ზესტაფონის რაიონის ცენტრალური სახანძრო რაზმის შოფერი
4. **მუმლაძე** ანზორ სიმონის-ძე — რუსთავის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის მეარმატურე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

ქ. თბილი, 1963 წლის 18 იანვარი.

## საკდესის ცნობა

### მიფრინავს „მარსი-1"

15-დან 22 იანვრამდე მოეწყო რადიოკავშირის მორიგი სეანსები სადგურთან „მარსი-1". სადგურიდან მიღებულია სამეცნიერო ინფორმაცია, მონაცემები სადგურის სისტემებისა და აგრეგატების მუშაობის შესახებ. სადგურთან რადიოკავშირი კარგია, ბრძანების გადაცემა სადგურზე მყარია.

23 იანვარს დილის 9 საათზე, მოსკოვის დროით, მანძილი დედამიწიდან სადგურამდე შეადგენდა 39 მილიონ კილომეტრს. სადგურის ასტრონომიული კოორდინატები შემდეგია: პირდაპირი აღმასვლა — 6 საათი და 24 წუთი, დახრილობა — 35 გრადუსი და 27 მინუტი.

## გოლიათი ბრძმედი

**ჟდანოვი.** (საკდესის კორ.). ჟდანოვის ილიჩის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში აამუშავეს სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობის სახელობის ბრძმედი, რომელიც ყველაზე დიდია დონბასში. მხოლოდ აპრილში, კომკავშირული ყრილობის გახსნის დღეს, ჩაასხეს პირველი ბეტონი მის საძირკველში. ახლა აქ აღმართულია აგრეგატი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია ჩვენს ქვეყანაში.

ჟდანოველ მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივმა გოლიათური ბრძმედი ააგო ინდუსტრიული მეთოდებით, ფართოდ გამოიყენა ასაწყობი რკინაბეტონის ბლოკები და ლითონის გამსხვილებული კონსტრუქციები. ღუმელი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. დიდმწარმოებლურმა მანქანებმა და მექანიზმებმა სავსებით გამორიცხეს მეტალურგთა ხელის შრომა.

## უკანასკნელი ცნობები

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, სკკპ წევრი 1914 წლიდან, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, პროფესორი

**გედეონ არსენის-ძე მჟავანაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში

### ახალი კომიტეტების პირველი დღეები

## უხვი მოსავლისათვის ბრძოლა დაიწყო

**პარტიული** ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნა საწარმოო პრინციპის მიხედვით რამდენიმე დღეა, რაც ჩვენს რესპუბლიკაში მთლიანად დამთავრდა.

ახლახან შექმნილი პარტიული კომიტეტების მუშაობის პირველი შედეგები მოწმობს, რომ ეს ორგანოები სწორ გზაზე დგანან.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს და თელავის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტკომების მდივნებს დ. საბაშვილსა და ა. ვარდოშვილს, სთხოვა მათ ჩვენი მკითხველისათვის მოეთხროთ პარტიული კომიტეტების პირველ დღეებზე, ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის პირველ ნაბიჯებზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მათ წერილებს.

* * *

ჩვენი პარტიული კომიტეტი ორი კვირაა შეიქმნა. მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის ეძიოს მუშაობის ახალი, უფრო ქმედითი, სიცოცხლისუნარიანი ფორმები, რომლებიც უპასუხებენ დღევანდელი დღის გაზრდილ მოთხოვნებსა და ამოცანებს.

ხოლო წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ ამოცანებზე, საკმარისია მოვიყვანოთ ზოგიერთი ციფრი. წელს საწარმოო სამმართველოში უნდა დამზადდეს 10 ათას ტონაზე მეტი ჩაი. სამარცვლედ დაითესება 6.000 ჰექტარი სიმინდი. წარმოებულ იქნება 2.600 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, 31.900 ცენტნერი რძე, 8.426 ცენტნერი ხორცი. სახელმწიფოს მიეყიდება 4.417 ტონა ხილი, 400 ტონა ციტრუსები და ა. შ.

პარტიული კომიტეტის მთავარი საზრუნავია წარმოება, და იგი სათავეში ჩაუდგება მშრომელთა მზარდ აქტივობას შვიდწლედის მეხუთე წლის მიჯნების ასაღებად.

ახალი წლის ყოველი დღე გვიჩვენებს, რომ შრომის ტემპი განუხრელად მატულობს. ახლა მიმდინარეობს ჩაის პლანტაციებში საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოები. 20 იანვრისათვის 2.400 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან შებარული იყო 1.700 ჰექტარი, ანუ 1.000 ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. მთელ რიგ კოლმეურნეობებში დასასრულს უახლოვდება სეზონის ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული და შრომატევადი სამუშაო. სასოფლო-სამეურნეო არტელები მუშაობენ წლიურ ანგარიშებზე და ემზადებიან საანგარიშო-საარჩევნო კრებების მოსაწყობად.

ამ გადამწყვეტ დღეებში პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორები და ინსპექტორ-პარტორგანიზატორები იმყოფებიან კოლმეურნეობებში, ეხმარებიან მშრომელებს, ეწევიან ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას.

ერთი მაგალითი. ინსპექტორ-ორგანიზატორებმა მ. ჩიტიძემ და ა. კილაძემ შეამოწმეს ვანის, ზომლეთისა და მამათის კოლმეურნეობებში წველადობის მდგომარეობა და დაინტერესდნენ კომუნისტების მუშაობით. გამოირკვა, რომ აქ იანვრის პირველ ათდღიურში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით წველადობის საგრძნობ კლებას ჰქონდა ადგილი. ინსპექტორ-პარტორგანიზატორებმა ადგილებზე მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებები განახორციელეს ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. უპირველეს ყოვლისა საქმე დაიწყო ადამიანთა, კომუნისტების პასუხისმგებლობის გაზრდით ამ უბანზე. საქმეს გამოსწორება დაეტყო. წველადობამ სხვა კოლმეურნეობებშიც იმატა.

ამას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ჩიბათელ მეცხოველეთა პატრიოტულმა თაოსნობამ. მათ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე განიხილეს რძის წარმოების ზრდის ამოცანები და ვალდებულება იკისრეს თითეულ საფურაკე ძროხაზე ყოველდღიურად მიიღონ 300 გრამით მეტი რძე, ვიდრე შარშან. ეს ინიციატივა მოიწონა საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა და ყველა პარტიულ ორგანიზაციას დაავალა მხარი დაუჭირონ მას. მშრომელებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი.

შესამჩნევია სასოფლო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გამოცოცხლება. პარტიულ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს თეორიული კონფერენციები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა, პარტორგანიზაციების მდივნებისა და სპეციალისტებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მთელ რიგ საკითხებზე.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით, როგორც იტყვიან, წვეთია ზღვაში.

**დ. საბაშვილი,**
ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

## როცა ამოცანები ნათელია

**პარტიული** ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნა საწარმოო პრინციპის მიხედვით სამრეწველო წარმოების სწრაფი განვითარებისა და პარტიული მუშაობის ახალი აღმავლობის ფართო შესაძლებლობას ქმნის.

— რით დავიწყოთ? — ბუნებრივია, ყოველთვის ისმება ასეთი კითხვა ახალი ორგანოს წინაშე მუშაობის პირველი დღეებიდანვე. მაგრამ რადგან ყოველი საქმის წარმატებას წყვეტენ ადამიანები, ჩვენც საქმე კადრების დაკომპლექტებით დავიწყეთ. უწინარეს ყოვლისა, შევარჩიეთ ინსტრუქტორები საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით.

პარტიული კომიტეტის მუშაკთა ძირითადი ნაწილი ინჟინრებია. ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტ ხანს დაყონ ადგილებზე, უშუალოდ საწარმოებში, იყვნენ ცხოვრების შუაგულში, ასწავლონ მუშებს და მათგანაც ისწავლონ.

ახმეტის სატყეო მრეწველობის კომბინატი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. კარგად მუშაობს კომბინატის პარტიული ორგანიზაციაც. განა სხვა კოლექტივების კომუნისტებისათვის საინტერესო არ იქნება ამ ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება? — დაიბადა ეს აზრი ინსტრუქტორ ბ. კარდენახიშვილს. და მას ახლა სისრულეში მოჰყავს თავისი ეს გადაწყვეტილება.

ახმეტის სატყეო მრეწველობის კომბინატის ნარჩენთა ბაზაზე შენდება საფუარჰიდროლიზის ქარხანა, რომელიც საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 1963 წლის მეორე კვარტალის ბოლოს. ამ დღეებში მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნო სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ნ. იანვარაშვილი. მდგომარეობის დეტალურმა შესწავლამ იგი დაარწმუნა, რომ თუ **მშენებლობა ასეთი ტემპით გაგრძელდა, დროზე ვერ დამთავრდება.**

ამიტომ მან საჭიროდ ცნო ადგილზე თათბირის მოწვევა. თათბირზე მშენებლებმა — მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის თელავის მე-4 სამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა ბევრი საგულისხმო შენიშვნა და წინადადება წამოაყენეს. მათი განხორციელება უეჭველია ხელს შეუწყობს მშენებლობის ვადამდე დამთავრებას. მაგრამ კომიტეტის მდივნის მოადგილე ამითაც არ დაკმაყოფილდა. ამ საკითხს სპეციალურად განიხილავენ ღია პარტიულ კრებაზე, რომელსაც მშენებლებიც დაესწრებიან.

ზონაში ამჟამად 99 პარტიული ორგანიზაციაა. ეს რიცხვი მალე კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ბევრი კომუნისტი, რომლებიც აქამდე სხვა ორგანიზაციებში იყვნენ გაფანტულნი, თავიანთ საწარმოებთან პირველადს პარტორგანიზაციებში გაერთიანდებიან. პარტორგანიზაციათა რიცხვის ზრდა კიდევ უფრო მტკიცე დასაყრდენს შეგვიქმნის ადგილებზე.

როგორც ცნობილია, სამეურნეო წარმატებანი ბევრად არის დამოკიდებული იდეოლოგიური მუშაობის დონეზე. ამიტომ იდეოლოგიური მუშაობის აღმავლობა პარტიული კომიტეტის ყოველდღიური ზრუნვის საგანია. ახლა ასობით მშრომელია ჩაბმული წრეებში, პოლიტსკოლებსა და თეორიულ სემინარებში. ყველგან გულდასმით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალებს. ამ საკითხს მიეძღვნა პარტორგანიზაციების მდივნების ზონალური თათბირებიც.

საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა სააგიტაციო მუშაობა. ეწყობა აგიტპუნქტები, დაკომპლექტდა აგიტკოლექტივები, გამოიყო ბევრი ახალი აგიტატორი.

მე მხოლოდ კომიტეტის პირველ ნაბიჯებზე ვილაპარაკე, მთავარი საზრუნავი წინ არის.

**ა. ვარდოშვილი,**
თელავის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტის მდივანი.

### პარტიული ცხოვრება

## ახლისადმი გულგრილობა — აი რა გვაფერხებს

### პარტიის ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენციაზე

**ჭიათურა** მძლავრი ინდუსტრიული ცენტრია. მსოფლიოში განთქმულია აქაური მარგანეცის სახელი. შავი მთების გულში ნადები სიმდიდრე ახლა ხალხის სამსახურშია ჩაყენებული. აქედან მარგანეცის განუწყვეტელი ეშელონები იგზავნება საბჭოთა მძლავრ მეტალურგიულ ქარხნებში, მარგანეცს მოითხოვენ მოძმე დემოკრატიული თუ უცხოეთის ქვეყნები...

ჭიათურელ მშრომელებს ახალი ამოცანები დაუსახა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ, ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის ისტორიულმა პლენუმმა. სწორედ ამ ამოცანების განხილვას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენცია, რომელსაც ხუთასამდე დელეგატი დაესწრო.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე — **„სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები და ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები"** — მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის ქალაქკომის პირველი მდივანი **ზ. პატარიძე.**

— ჭიათურელმა მაღაროელებმა, — თქვა მომხსენებელმა, — 1962 წელს ცუდად როდი იმუშავეს, ვადამდე შეასრულეს წლიური დავალება და სამშობლოს მისცეს ათასობით ტონა ზეგეგმითი მარგანეცი. ამ სასახელო საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს კალინინის, ლენინის, ორჯონიკიძის, დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა. აქ სერიოზული ყურადღება ექცევა მადნის ღია სამუშაოებით მოპოვებას, ახალი სამთო ტექნიკის გამოყენებას, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას. მაგრამ ჭიათურელ მაღაროელებს, აქაურ კომუნისტებს მუშაობაში ჩრდილოვანი მხარეებიც აქვთ. მაღაროებსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში ბევრი რამ გაკეთდა სამამულო ტექნიკის დანერგვისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით ახალი ტექნიკის თუ კარგი რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვასადმი გულგრილ დამოკიდებულებას, მათ გაჭიანურებას.

ყველაზე მთავარი, რაც ადამიანს თვალში მოხვდება, ეს არის **მაღაროებსა თუ მშენებლობებზე შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაბალი დონე.** საკმარისია ითქვას, რომ 1962 წელს შრომის დისციპლინა მაღაროებში დაარღვია 5.000-ზე მეტმა კაცმა, სამუშაოდან წავიდა 700 კაცი. უფრო არასახარბიელო სურათია მშენებლობებზე.

უდისციპლინობასა და მოშვებულობასთან სდევს **უჟაირათო, არარენტაბელური მუშაობა.** ამით აიხსნება, რომ მარგანეცის ტრესტმა თვითღირებულების გაძვირებით მარტო 11 თვეში 1.281.900 მანეთი გადახარჯა. ზარალით იმუშავეს ახალი ითხვისის მაღაროს კოლექტივმა და ცენტრალურმა დამყვანმა ფაბრიკამ. პირველმა 334.000 მანეთი, ხოლო მეორემ — 473.600 მანეთი გადახარჯა. ეს გამოწვეულია სამაგრი მასალის, ელექტროენერგიის ხელგაშლილად ხარჯვით, მექანიზმებისა და მოწყობილობის არაგონივრული გამოყენებით.

ზარალი გამოიწვია იმანაც, რომ მარგანეცის ტრესტმა დანაკლისით შეასრულა პირველი ხარისხის მადნის დამზადების წლიური დავალება. ამ ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებლის შეუსრულებლობა აიხსნება ერთი მხრივ, მადნის გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესების დარღვევით, ხოლო მეორე მხრივ — ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის არასწორი დაგეგმვით.

ჭიათურაში ერთობ მტკივნეულია **სამთო უშიშროების წესების დაუცველობა.** სანგრევებსა და ლავებში არ იცავენ გამაგრების პასპორტს, დაბალია წარმოების კულტურა, რასაც მოსდევს შეფერხებები.

კონფერენციის მონაწილეებმა უფრო მეტი პრეტენზიები წაუყენეს მარგანეცის **ქალაქის მშენებლებს,** რომლებმაც წლიური გეგმა მხოლოდ 78 პროცენტით შეასრულეს. გარდა იმისა, რომ ოთხი სამშენებლო სამმართველოდან წლიური გეგმა ვერც ერთმა ვერ შეასრულა, ერთობ დაბალია მშენებლობის ხარისხი. ეს პირველ რიგში ეხება ბინათმშენებლებს, რომელთა მისამართით სამართლიან საყვედურებს გამოთქვამენ. ისიც უნდა ითქვას, რომ მშენებლები ხშირად აჭიანურებენ საქმეს, არ ასრულებენ პარტიის ქალაქკომის ბიუროს დადგენილებებს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მშენებლები ძალიან დაგვიანებით იღებენ პროექტებს, რაც ხელს უშლის მათ ნორმალურ მუშაობას.

მოკამათეთა უმრავლესობა დაწვრილებით ლაპარაკობდა მაღაროელთა და მშენებელთა გადაუდებელ ამოცანებზე 1963 წელს. მათ დასძინეს, რომ დავალებათა შესრულებისათვის ყველა პირობა გვაქვს, მხოლოდ საჭიროა ავამოქმედოთ რეზერვები, დავრაზმოთ ადამიანები, რათა მცირე დანახარჯით სამშობლოს მეტი პროდუქცია მივცეთ. ეს არის ჭიათურელ კომუნისტთა ძირითადი საზრუნავი, რომლის გადაწყვეტას უნდა დაექვემდებაროს პარტიულ ორგანიზაციათა მთელი მუშაობა.

მარგანმშენის ტრესტის მმართველმა **გ. შანიძემ** სამართლიანად ცნო მშენებლების მისამართით გამოთქმული კრიტიკა და აღნიშნა, რომ მშენებლებს ხელი ეშლებათ პროექტების დაგვიანებით მიწოდების, ავტოტრანსპორტის მოუქნელი მუშაობის, არასწორი დაგეგმვის მიზეზით.

ქალაქის კეთილმოწყობის, სისუფთავის დაცვის, გამწვანების, წყლით მომარაგების მტკივნეულ საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **უ. სხირტლაძემ.** მან გააკრიტიკა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროები, რომლებიც ხშირად არ ითვალისწინებენ ჭიათურელ მშრომელთა მოთხოვნებს.

— შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების ყველა რეზერვს ვერ ვიყენებთ, — თქვა მარგანტრესტის მმართველმა **ლ. გოშხოთელიანმა.** — მარტო ის ფაქტი, რომ 47 საწარმოო უბნიდან წლიური გეგმა 21 უბანმა ვერ შეასრულა, ამის დამადასტურებელია. მან მოითხოვა მშენებლობის ხარისხის, მუშათა მომარაგებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.

მაღაროელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, საავტომობილო ტრანსპორტისა და ვაჭრობის მუშაკთა მოუქნელ, დაუდევარ მუშაობაზე გულისწყრომით ილაპარაკეს დელეგატებმა — ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მარგანეცის ამწმენდმა **ლ. გაფრინდაშვილმა,** ახალი ითხვისისა და ლენინის სახელობის მაღაროების დირექტორებმა **ი. ბაირამაშვილმა** და **ლ. ჩხაიძემ,** დიმიტროვის სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანმა **ალ. მეცხოვრიშვილმა.**

მადნის დანაკარგების შემცირებისა და ხარისხის ამაღლების კონკრეტულ გზებზე მოუთხრო დელეგატებს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საბჭოს თავმჯდომარემ **შ. ახვლედიანმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ რაციონალიზატორებს მეტი [illegible].

— [illegible] მშენებლობის [illegible] კომუნისტური [illegible] **ქოხონელიძე** — მაგრამ ჭიათურელ მშენებლებს ერთი ცუდი ტრადიცია აქვთ: ზაფხულში, როცა მშენებლობისათვის კარგი პირობებია, მაშინ რკინა-ბეტონსა და საშენ მასალებს ნორმალურად არ გვაწვდიან და ვცდებით. მაგრამ როცა სამეურნეო წელი მიიწურება და მშენებლობაც უნდა დამთავრდეს, იწყება იერიშობანა — გასაშვებ ობიექტებზე ბევრია მასალებიც, მუშახელიც. აი რატომ ეცემა ამ მშენებლობათა ხარისხი.

გ. ქოხონელიძემ კონფერენციის ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმას, რომ „ჭიათურმშენის" სამმართველო განიცდის სამშენებლო მექანიზმების ნაკლებობას. ამ მექანიზმების — ექსკავატორების, ბულდოზერების, ტრაქტორების — ხშირ მოცდენაზე, რაც გამოწვეულია სათადარიგო ნაწილების უქონლობით, ილაპარაკა ბულდოზერის მემანქანემ, დელეგატმა **ა. კაპანაძემ.** მან აგრეთვე გააკრიტიკა სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც ცუდად ემსახურებიან მშენებლებს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს მსუბუქი, კვების მრეწველობისა და ვაჭრობის განყოფილების გამგე **შ. ბეზარაშვილი.** კონფერენციამ მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, მიიღო დადგენილება და აირჩია პარტიის საქალაქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

* * *

გაიმართა ახლადარჩეული ქალაქკომის პლენუმი. საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ზ. პატარიძე, მეორე მდივნად — გ. ცხადიაშვილი, მდივნად — ი. კევლიშვილი.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

### საბჭოთა მშენებლობა

## მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიები

**კასპი.** საქალაქო საბჭოს სესიამ კასპის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია თ. პაპიაშვილი.

**ბორჯომი.** საქალაქო საბჭოს სესიამ ბორჯომის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ქ. ხარისჭირაშვილი.

**სამტრედია.** სამტრედიის საქალაქო საბჭოს სესიამ სამტრედიის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ა. დონდუა.

**ტყიბული.** საქალაქო საბჭოს სესიამ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ჯ. გოცირიძე.

**წყალტუბო.** საქალაქო საბჭოს სესიამ წყალტუბოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ლ. კოღუაშვილი.

**ცხინვალი.** საქალაქო საბჭოს სესიამ ცხინვალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია შ. დოგუზოვი.

**ზუგდიდი.** საქალაქო საბჭოს სესიამ ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია გ. მაქაცარია.

## გაზაფხულს — ღირსეული შეხვედრა

### „მინდვრის დედოფალი" ნაყამირალზე

**მდინარე** ალაზნის მარჯვენა მხარეს ჩვენი კოლმეურნეობის კუთვნილი ადგილები „ხმელიანი" და „წიფლიანი" ეკალბარდით იყო დაფარული. უსარგებლო ნაკვეთების ათვისება გადავწყვიტეთ და ორ წელიწადში ავითვისეთ. ხუთასი ჰექტარი ნაყამირალი კოლმეურნეთა სამსახურში ჩადგა.

გაზაფხული გვიხმობს, დიდი შრომა მოგველის. გადავწყვიტეთ სიმინდი 250 ჰექტარზე დავთესოთ.

**ი. ნიკოლაიშვილი,**
გურჯაანის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

### მოწინავე მებოსტნეებთან

სამტრედია. (საკ. კორ.). სოფელ დაბლა გომის კოლმეურნეობის მებოსტნეებმა შარშან რაიონში ყველაზე მაღალი მოსავალი მიიღეს. 445 ტონის ნაცვლად მიიღეს 543 ტონა ბოსტნეული. მაღალი მოსავალი მიიღეს მებოსტნეებმა ა. ჩაჩუამ, კ. ცინცაძემ, გ. ჩხაიძემ, ქ. ჩაჩუამ და სხვებმა.

დაბლაგომელი მებოსტნეები მიმდინარე წელს უფრო უხვ მოსავალს მიიღებენ.

## დანაშაული, უდარდელობა

### ზამთარი ფერმებში

**კავკასიონის** მთებში თოვლია, ბარში კი წვიმს. სადაც არის იანვარი დამთავრდება, მაგრამ თოვლმა ფეხი ვერ მოიკიდა, ზოგჯერ თბილა კიდეც. კოლმეურნეებს უხარიათ: — ასეთი ზამთარი რომ არა, პირუტყვი გაგვიწყდებოდა, — ამბობენ ისინი.

გათენდება თუ არა, მწყემსები ნახირს მახლობელ ტყეებში მიერეკებიან, საქონელს ნეკერით გააქვს თავი. სალამოთი ისევ ბინებში აბრუნებენ და მცირეოდენ ჩალას თუ ბზეს აჭმევენ. ასე მეორდება ყოველდღე.

სოფელ არანისის ფერმაში მივედით. სადგომის გარშემო ისეთი ლაფი იდგა, რომ იქ გავლას ყველა ვერ შეძლებს. როგორც იქნა სადგომში შევედით. ძვალტყავად ქცეულ ძროხებს თითო კილოგრამ ქატოს ნარევს ურიგებენ. სადგომში სიბინძურეა, ბევრი ძროხა გაუწმენდავია, სხვადასხვა ასაკის — ორდღიანი და სამთვიანი — ხბოები ერთად არიან დამწყვდეული, ზღვე ოღროჩოღროა და მასზე წოლა პირუტყვს უჭირს.

— როგორ ზამთრობთ? — შევეკითხეთ ფერმის გამგე სანდრო პინჯარაშვილს.

— გმადლობთ, არა გვიჭირს რა.

— რატომ არიან ძროხები გაუწმენდავი, — ვკითხეთ ფერმის აღმრიცხველს ვასილ ჩანადირს.

— ძროხების მომვლელმა ბაბალე არაბულმა ერთი თვეა სამუშაო დატოვა, სამაგიერო კი ვერ ვიშოვნეთ. იძულებული ვარ პირუტყვს მე მოვუარო, სხვა საქმეც ბევრი მაქვს და ძროხების წმენდას ველარ ვასწრებ.

ვათვალიერებთ ფერმას. ყველაფერს ეტყობა, რომ ადამიანთა მზრუნველი ხელი აკლია.

— რამდენი კილოგრამი რძე უნდა მოგცენ დღეში ძროხებმა? — ვეკითხებით მწველავებს.

მათ პასუხის გაცემა ვერ შეძლეს.

ფერმაში გაკრული არ არის პირუტყვის კვების რაციონი. არ არის მწყემსებისა და მწველავების დასასვენებელი ოთახი, არ ტარდება სააგიტაციო საუბრები, დიდი ხანია არ გამოსულა კედლის გაზეთი, სასილოსე ორმოები დროზე არ გადახურეს და სილოსი დაზიანდა.

მატების ნაცვლად თანდათან კლებულობს წველადობა, იმავე დილას მოწველილი რძე აღრიცხული არ იყო.

როცა ლაპარაკი პირუტყვის სიგამხდრეზე ჩამოვარდა, აქ შარშანდელი გვალვით გაიმართლეს თავი. პირუტყვი ზაფხულშივე საკვების ნაკლებობით დაჯანდაგდა. არ შეიძლება ნაწილობრივ არ დაეთანხმო მათ, მაგრამ სირცხვილი ის არის, რომ ფერმაში ოდნავი წესრიგი არ არის, ყველაფერში ჩანს, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს ეს არ აწუხებს.

რა თქმა უნდა, პირუტყვის ასეთი „მოვლა-პატრონობით" რძის წარმოება არ გაიზრდება, სულადობის გეგმა არ შესრულდება და, შესაძლოა, პირუტყვიც დაიხოცოს.

### „კომუნისტის" რეიდი

ჰოპორტის კოლმეურნეობას მეცხოველეობის მოზრდილი ფერმა აქვს, მაგრამ ვერცერთი სახის გეგმას ვერ ასრულებს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმის შესრულებას უკლია 79 სული, შარშან ნაცვლად 1.000 კილოგრამისა თვითეულ ძროხაზე მიიღეს მხოლოდ 455 კილოგრამი რძე, აპრილიდან დაწყებული იანვრამდე ფერმას არ ჰქონდა კონცენტრირებული საკვები. ფერმა მოუმზადებელი შეხვდა ზამთარს. ისევე, როგორც არანისში, აქაც პირუტყვს ცუდად უვლიან, რის გამო დაბალია წველადობა, მოუწესრიგებელია მიღებული პროდუქციის აღრიცხვა. 17 იანვარს კოლმეურნე შ. ხვთისიაშვილზე გაუწერიათ 10 ლიტრი რძე. განკარგულებას ხელს არ აწერენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რძის გამცემი და მიმღები. რძის აღრიცხვას აწარმოებენ მხოლოდ ერთხელ, პირველი წველის დროს.

საკვების ნაკლებობის გამო კოლმეურნეობამ გასულ წელს შეიძინა რამდენიმე ასეული მანეთის ნამჯა და თივა, ამჟამად ნამჯა და სიმინდის ჩალა დაზვინულია ფერმიდან 5-8 კილომეტრზე და მას ყოველდღიურად ავტომანქანით ეზიდებიან.

— ამინდი რომ გაუარესდეს, მაშინ რას იზამთ, როგორღა მოზიდავთ ჩალას? — შევეკითხეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რ. ხეოშვილს.

— ეგეთი ცუდი ამინდები ჩვენს სოფელში არ იცის, — გულდამშვიდებით თქვა თავმჯდომარემ.

კომენტარი ზედმეტია.

მეტისმეტად დაბალია წველადობა. მაგალითად, 3 იანვარს 27 მეწველ ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 18 ლიტრი რძე, 14 იანვარს — 13 ლიტრი, მწველავებმა არ იციან რამდენი რძე მოწველეს დღეების მიხედვით.

ფერმაში ცუდად არის დაყენებული ზოოვეტერინარული მომსახურება.

სადგომის გარშემო ნაკელი ყრია. შარშან სხვადასხვა დაავადებით დაეცა 30 სული პირუტყვი, ძროხებს და მოზარდეულს აჭმევენ ყოველგვარი ნორმების დაუცველად.

დანაშაულებრივ უდარდელობას იჩენენ ლაფანაანთკარის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები. მარტო შარშან აქ 160 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი დაეცა. მეცხოველეობის არცერთი სახის გეგმა არ შესრულებულა, განსაკუთრებული უსულგულობა გამოიჩინეს ზამთრისათვის საჭირო საკვების დაგროვებაში, ფერმას აკლია 200 ტონაზე მეტი უხეში საკვები, არსებული საკვები ეყოფათ მხოლოდ თებერვლის დამლევამდე, მერე კი პირუტყვს შიმშილით დაღუპვა ელის, თუმცა ლაფანაანთკარელებს ნოღაეთში აქვთ ჭარბი საკვები, რომლის გადმოზიდვა მათ შეუძლიათ. მაგრამ თავს არ იწუხებენ. ნაცვლად 1.750 ტონისა, შარშან დაასილოსეს მხოლოდ 516 ტონა საკვები, ისიც უხარისხო.

გული გეტკინებათ, როცა ამ სოფლის ნახირს ნახავთ, ძლივს დალასლასებენ დაჯანდაგებული ხბოები, მაგრამ ვინ არის გამკითხავი, ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობას დაქირავებული ვეტფერშალი ჰყავს.

ჩვენ არ ვიცით, რას ფიქრობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ლაფანაშვილი. ნუთუ მას სინდისი არ აწუხებს, როცა პირუტყვს მომვლელი მწყემსები აკლია და ხბოების ნაწილს თვითონ ფერმის გამგე ნ. მწითური უვლის, მაშინ როცა კოლმეურნეთა დიდი ნაწილი არ მუშაობს.

გვინდოდა გვენახა ისეთი ფერმა, სადაც ცოტად თუ ბევრად უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა. რა თქმა უნდა, ლაფანაანთკარელებს სხვები სჯობიან, მაგრამ ნაკლოვანებები თითქმის ყველგან არის. ვიყავით ანანურის, ციხისძირის, ბულაჩაურისა და სხვა კოლმეურნეობებში და დავრწმუნდით, რომ პირუტყვის გამოზამთრება საფრთხეშია.

ადრე დილით არაგვისპირის ფერმაში მივედით, ფერმის გამგე სანდრო კაპკაშური კარებში შემოგვეგება.

შევედით სადგომში. აქაც ნაცნობი სურათი გამეორდა. ჯანდაგი, გაუწმენდელი ძროხები ნაღვლიანად ჩასცქეროდნენ ცარიელ ბაგას, ფერმის გამგემ საუბარი საკვებზე ჩამოაგდო:

— სილოსი გვაქვს, გნებავთ გაჩვენოთ?

წავედით და იქაც გული დაგვწყდა. ეტყობა სასილოსედ ხმელი სიმინდის ჩალა გამოუყენებიათ, სასილოსე ორმოები არ გადაუხურავთ და, ბუნებრივია, სილოსი გაფუჭებულია.

რამდენიმე წლის წინათ პირუტყვის სადგომს ერთი სათავსი მიაშენეს, რომელიც სპეციალურად საკვების შესამზადებლად არის მოწყობილი, მაგრამ იქ ისეთი სიბინძურეა, რომ შესვლაც კი არ შეიძლება. საკვების დასაორთქლებელი ქვაბი და სხვა ინვენტარი ფუჭდება, დასილოსებას რომ მორჩნენ, ღია ცის ქვეშ გაუწმენდავი დატოვეს სილოსის საკეპი დანადგარი.

დუშეთის ადრინდელ რაიონში მხოლოდ ერთი მექანიზებული ფერმაა. საერთოდ კოლმეურნეობებში არავინ ზრუნავს შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისათვის. მეცხოველეობის ყველა ფერმაში ყველა სამუშაო ხელით სრულდება, სადგომებიდან ნაკელის გატანა, საკვების შეზიდვა პრიმიტიული წესით წარმოებს. არაგვისპირის კოლმეურნეობის ფერმაში ავტოსარწყულებლები შეიძინეს, რაზედაც დიდი თანხა დაიხარჯა, მაგრამ გამოიყენეს? არა. დროთა ვითარებაში იგი დაიჟანგა და გაფუჭდა. ასე ჩაიყარა წყალში საკოლმეურნეო ქონება.

არაგვისპირი არაგვთან ახლოა, მაგრამ ფერმებს წყალი არა აქვთ. წყლის გამოყვანა კი დიდ სიძნელეს როდი წარმოადგენს.

ფერმებში ნაკლები ყურადღება ექცევა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე მეთოდების დანერგვას. ორი წლის წინათ ბაზალეთის კოლმეურნეობაში საკვების დასილოსების დროს გამოიყენეს შარდოვანა, რომელმაც შესანიშნავი შედეგი გამოიღო, საგრძნობლად გაიზარდა ძროხების წველადობა. ამ გამოცდილების შესახებ დაიწერა რაიონულ გაზეთში. მასზე ბევრი ილაპარაკეს სხვადასხვა თათბირებზე, მაგრამ ამას კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. შარდოვანას ახლაც მხოლოდ ბაზალეთის კოლმეურნეობა იყენებს.

მეცხოველეობის ზოგი მუშაკი ჩამორჩენას საკვების ნაკლებობით ხსნის და არ ფიქრობს იმ დიდი რეზერვების გამოყენებაზე, რაც თვითეულ კოლმეურნეობას მოეპოვება. ნატახტარის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში შარშან ერთსა და იმავე ფართობში საკვების სამი მოსავალი მიიღეს. გამოცდილებით დადასტურდა, რომ ამის გაკეთება შეუძლია ბევრ კოლმეურნეობას. განა ეს უმდიდრესი რეზერვი არ არის? სამწუხაროდ, ამ რეზერვის გამოყენებისათვის რაიონის კოლმეურნეობების გამგეობები, პარტიული ორგანიზაციები თავს არ იწუხებენ.

ყოველი საქმის ბედს ადამიანები წყვეტენ. სამწუხაროა, რომ ბევრ კოლმეურნეობაში ადამიანებზე ჯეროვნად არ ზრუნავენ. ფერმის მუშაკებში მთლიანად არ ხორციელდება მატერიალური დაინტერესების პრინციპი. უმრავლეს ფერმებში მოწყობილი არ არის მწყემსთა დასასვენებელი ოთახი, წითელი კუთხე, მეცხოველეებს არა აქვთ რადიო, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები. პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ ფერმებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ამაღლებისათვის. ამას დიდი ზიანი მოაქვს.

დუშეთის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში ძირითადი, წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. ამიტომ, ბუნებრივია, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს. მაგრამ ეს ასე როდია. მეტწილ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას სასხვათაშორისო საქმედ თვლიან, აშკარა დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობას იჩენენ.

სწორედ ამის შედეგად დუშეთის რაიონში ვერ ნახავთ თითქმის ვერც ერთ კოლმეურნეობას, სადაც პირუტყვის გამოზამთრება კარგად იყოს მოწყობილი. გუდამაყრის კოლმეურნეობაში პირუტყვის საკვები დროულად არ მოიმარაგეს და, ზამთარი რომ დადგა, შემდეგ გაახსენდათ, რომ საჭირო იყო საკვები. კოლმეურნეობას საკუთარი საკვები არ გააჩნდა. ამიტომ იძულებული გახდნენ შეეძინათ 1.548 ტონა უხეში საკვები. ამისათვის კოლმეურნეობამ 53.884 მანეთზე მეტი დახარჯა. ასევე ცუდი მდგომარეობაა არღუნის, მთიულეთის, ფასანაურის, მაღაროსკარის, ლაფანაანთკარის, ახალციხის და სხვა კოლმეურნეობებში. სულ რაიონში პირუტყვის გამოზამთრებასთან დაკავშირებით შეძენილია 5.892 ტონა თივა, ნამჯა და ჩალა. ამ საქმეში კოლმეურნეობებმა სულ მცირე 206.525 მანეთი დახარჯეს. თუმცა შეძენილი საკვებით პირუტყვი მხოლოდ ორ თვემდე შეიძლება კვებონ. ამით ხომ საგრძნობლად შეამცირეს შრომადღის ღირებულება. სამწუხარო ის არის, რომ კოლმეურნეობათა უმრავლესობა ახლაც დაეძებს პირუტყვის საკვებს.

მთიულეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თ. დუდაურს არ აღელვებს ის, რომ ცუდი მოვლის შედეგად მოკვდა 231 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ხოლო ცხვარი — 2.407 სული. ამ მხრივ საყვედურის ღირსი არიან სოფლების ახალციხის, გრემისხევის, შუახევის, ფასანაურის და სხვა კოლმეურნეობები.

რაიონში 1.516 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 9.754 ცხვარი და 1.031 ღორი რომ მოკვდა, განა ეს მოუვლელობის, ცუდი კვების შედეგი არ არის?

მეტად ცუდად არის საქმე წველადობაშიც. თითქმის ყველა კოლმეურნეობაში ერთი ძროხა საშუალოდ დღეში იწველის 1-2 ლიტრ რძეს. სოფელ მჭადიჯვრის კოლმეურნეობაში 16 ჯიშიანი ძროხა ჰყავთ, მათ შორის მეწველია 11. თვითეულმა ძროხამ დღეში უნდა მოიწველოს სულ მცირე 20-25 ლიტრი. აქ კი ძლივს იღებენ 3-4 ლიტრ რძეს. ანდა როგორ უნდა მიიღონ, როცა პირუტყვს სათანადოდ არ კვებავენ.

რაიონის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა შარშან სამეურნეო წლის დასაწყისში საქვეყნოდ პირობა დადეს, რომ საშუალოდ ერთ საფურაკე ძროხაზე ათას ლიტრზე მეტ რძეს მიიღებდნენ. სამწუხაროდ, პირობის შესასრულებლად ის ვერ გაითვალისწინეს, რომ პირუტყვს უნდა ნორმალური კვება, სანიმუშოდ გამოზამთრება. დაჯანდაკებულმა და მშიერმა ძროხამ ვერ მოიწველა და მიიღეს მხოლოდ 726 ლიტრი. ახალი წლიდან წველადობამ უფრო იკლო.

ბევრ ფერმაში ძალიან ძვირი უჯდებათ ხორცისა და რძის წარმოება, მაგალითად, არაგვისპირის კოლმეურნეობაში ლიტრი რძე 45 კაპიკი დაუჯდათ, კილოგრამი ხორცი კი — 4,5 მანეთი. აქ ყოველწლიურად პირუტყვის შესანახად დაახლოებით 100 ათას მანეთამდე ხარჯავენ, შემოსავალს კი მხოლოდ 50 პროცენტს იღებენ, ზოგჯერ უფრო ნაკლებსაც. ასევე მაღალია მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება სოფლების ჰილურტის, ჰოპორტის, ლაფანაანთკარის და სხვა კოლმეურნეობებში.

ნუთუ არ აღელვებთ დუშეთის რაიონის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს ის, რომ ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მთლიანად რაიონში მიღებულია მხოლოდ 14,5 ცენტნერი ხორცი და 25 ცენტნერამდე რძე?

პირუტყვს კეთილმოწყობილი ბინა უნდა. ეს ანბანური ჭეშმარიტებაც დაივიწყა კოლმეურნეობათა უმრავლესობამ. შარშან გეგმით 1.880 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის უნდა აეგოთ სადგომები, ფარეხები — 21.200 სულისათვის, სახბორეები — 525 სულისათვის და სხვ. მაგრამ გეგმა ქაღალდზე დარჩა, ეს სამუშაო სანახევროდაც არ შეუსრულებიათ.

განა ეს არის პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება?

რეიდის მონაწილენი: **ვ. დინუაშვილი** — მჭადიჯვრის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, **ზ. დიდებაშვილი** — მჭადიჯვრის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი, **ვ. ყარამაზანაშვილი, ნ. რუხიაშვილი** — სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობის ფერმის მწველავები, **ს. კაპკაშური** — სოფელ არაგვისპირის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგე, **თ. თუშიშვილი** — სარაიონთაშორისო გაზეთ „კომუნიზმის გზის" რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, **შ. ჭოჭუა, ა. თომაძე** — გაზეთ „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტები.

## რძისა და ხორცის ფაბრიკაში

გარდაბნის რაიონის სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი უდიდესია რესპუბლიკაში. მის ფერმებში დაახლოებით 2.600 სული რქოსანი პირუტყვი ითვლება, აქედან 1.300 საფურაკე ძროხაა. აქ დიდი ყურადღება ექცევა მეღორეობას, განვითარებულია აგრეთვე მეფრინველეობა. 30 ათასამდე ფრთა ფრინველი ჰყავთ. მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა სრულად გამოიყენოს თავისი მდიდარი რეზერვები და მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიჰყიდოს ერთნახევარ-ორჯერ მეტი მეცხოველეობის პროდუქტი, ვიდრე შარშან. მარტო რძეს სართიჭალელები ჩააბარებენ 2.700 ტონას, ხორცს კი 537 ტონას. მეურნეობაში ნაყოფიერად შრომობენ მწველავები დები ლატავრა და ელიკო წიკლაურები. თვითეულ მათგანზე გაპიროვნებულია 23 საფურაკე ძროხა. ახალგაზრდა მწველავებმა წელს ვალდებულება აიღეს თვითეულ ძროხაზე 2.000 კილოგრამის ნაცვლად 2.800 კილოგრამი რძე მიიღონ. 3 ათასი კვერცხმდებელი ქათამია გაპიროვნებული რესპუბლიკის წარჩინებულ მეფრინველე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ელისო გედეხაურზე. მან იკისრა თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე ნაცვლად 105 ცალისა მიიღოს 125 ცალი კვერცხი.

* * *

**სურათზე:** სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავები დები ლატავრა (მარცხნივ) და ელიკო წიკლაურები.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქტესის ფოტოქრონიკა).

## დოლი ივრისპირეთში

**გულმოდგინე** შრომაა გაჩაღებული ამ დღეებში სიღნაღის რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში. ფერმის 7.500 სული ცხვარი კარგად იზამთრებს ენამთის, ტარიბანისა და ივრის საზამთრო საძოვრებზე. ახლა დიდი საზრუნავი აქვს ფერმის გამგეს სიმონ ბოსტოღანაშვილს, რომელიც უკვე ათეული წელია, რაც ახალგაზრდული ენერგიით დასტრიალებს ფარებს.

— ზამთრის თბილი დარები ხელს უწყობს ცხვრის გამოზამთრებას და დადოლებას, — განაცხადა მან, — დოლში ჩადგება 4.565 ნერბი. აქედან იდრეულა დოლში ჩამდგარია 2.100 სული და უკვე 1.500-ზე მეტი ბატკანი დაკუნტრუშობს ველებზე. ვცდილობთ დოლი უდანაკლისოდ დავამთავროთ.

**გ. კაკალაშვილი.**

# იმედის სხივი

## ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. კენედის შორის წერილების გაცვლის გამო

**პრაღა**, 22 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის ახალ ინიციატივას ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვის საკითხზე მოწონებით გამოეხმაურა ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა. დღევანდელი გაზეთები პირველ გვერდზე დიდი სათაურით ბეჭდავენ წერილების სრულ ტექსტებს ან დაწვრილებითს შინაარსს, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ.

„რუდე პრავო“ აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის ახალ ღონისძიებათა დიდ მნიშვნელობას, რომლებიც ნაკარნახევია იმისათვის ზრუნვით, რომ თავიდან აიცილოს კაცობრიობას თერმოატომური ომის საფრთხე.

გაზეთი „მლადა ფრონტა“ წერს. რომ საბჭოთა მთავრობის ახალი ინიციატივა ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვის საკითხში შესაძლებლობას იძლევა გადაიდგას „დიდი ნაბიჯი წინ“.

„ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვის გზა გახსნილია“, — ხაზს უსვამს „სვობოდნე სლოვო“.

**ჰავანა**, 22 იანვარი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირი მზად არის დათანხმდეს ატომურ სახელმწიფოთა ურთიერთ ინსპექციაზე“, — ასეთი სათაურით დაბეჭდა გუშინ გაზეთმა „რევოლუსიონმა“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის 19 დეკემბრის წერილი შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედისადმი, ჯ. კენედის 28 დეკემბრის პასუხი, აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვის მიმდინარე წლის 7 იანვრის წერილი. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ „საბჭოთა კავშირი დათანხმდება 2-3 ინსპექციას წელიწადში, თუ დანარჩენი ქვეყნები ასევე მოიქცევიან და არ გამოიყენებენ ინსპექციას ჯაშუშობისათვის“.

**პარიზი**, 22 იანვარი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის თანხმობა, რომ მოეწყოს ორი-სამი ინსპექცია ადგილზე მეტად დამაიმედებელი მოვლენაა, და ამას ყოველნაირად უნდა მივესალმოთ, განაცხადა ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა ჰოლიოკმა, რომელმაც კომენტარი გაუკეთა საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისადმი. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, თავის განცხადებაში პრესის წარმომადგენლებისათვის ველინგტონში ჰოლიოკმა აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის თანხმობა, რომ მოეწყოს ინსპექციები, მიაჩნია „იმედის სხივად“, რომელიც მეტყველებს, რომ ჩვენ მივაღწევთ ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვის პრობლემის გარკვეულ გადაჭრას და, საბოლოო ანგარიშით ატომური იარაღის აკრძალვას“.

**დასავლეთი ბერლინი**, 22 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს წერილების გაცვლას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედის შორის ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტისადმი კონტროლის შესახებ.

გაზეთი „შპანდაუერ ფოლკსბლატი“ „დადებით შეფასებას აძლევს წერილების გაცვლას ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჯ. კენედის შორის და მოუწოდებს ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეებს ხელი აიღონ ყოველგვარ მოქმედებაზე, რომელსაც შეუძლია გაართულოს შეთანხმების მიღწევა ორ დიდ სახელმწიფოს შორის ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ.

**ტოკიო**, 22 იანვარი. (საკდესი). იაპონიის იმ ქვეყნის საზოგადოებრიობა, რომელიც პირველი დააზარალა ატომურმა იარაღმა, დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ წარმოებს მიწერ-მოწერა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურებს შორის მსოფლიოს ყველაზე უფრო მღელვარე საკითხზე — ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის საკითხზე. „გამოვხატავ იაპონელი ხალხის გრძნობებს,— განუცხადა თქვენს კორესპონდენტს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის სრულიად იაპონიის საბჭოს თავმჯდომარემ კაორუ იასუიმ, — და გულითადად მივესალმები პრემიერ-მინისტრ ხრუშჩოვის ინიციატივას“.

ჩვენ გულწრფელად ვიმედოვნებთ, წერს გავლენიანი გაზეთი — „ასახი“, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მეთაურები, მთელი მსოფლიოს ხალხთა მისწრაფებების შესაბამისად, სწრაფად დაამთავრებენ მოლაპარაკებას ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ.

უკიდურესი რეაქციული გაზეთი „სანკეი ხიმბუნიც“ კი აცხადებს თავის მოწინავეში, რომ სულითა და გულით მიესალმება საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებებს.

**დელი**, 22 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის ახალ ნაბიჯს, რომელიც მიზნად ისახავს მხარეთა თვალსაზრისის დაახლოებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოლაპარაკებაზე, ფართოდ გამოეხმაურა ინდოეთის პრესა. „ინდიან ექსპრესი“ ცნობაში „ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ შეთანხმების ახალი იმედები“ აღნიშნავს: საბჭოთა კავშირის თანხმობა ინსპექციაზე ზრდის იმის იმედებს, რომ უახლოეს კვირეებსა ან თვეებში მიღწეულ იქნება შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

# ზ. ანჯაფარიძის წარმატება სოფიაში

**სოფია**, 23 იანვარი. (საკდესი). აქ დიდი წარმატებით ჩაიარა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ზურაბ ანჯაფარიძის გასტროლებმა.

სოფიის სახალხო ოპერის სცენაზე ქართველმა მსახიობმა შეასრულა რადამესის პარტია ვერდის ოპერა „აიდაში“ და გერმანის პარტია პ. ი. ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალში“.

ბულგარეთის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა მომღერლის ხელოვნებას. „ბრწყინვალე ტემბრმა, განსაკუთრებით ძლიერმა ხმამ, რომელიც ადვილად ძლევს მაღალ ნოტებს, უზრუნველყვეს, რომ ზურაბ ანჯაფარიძე აღტაცებით მიიღეს ბულგარელმა მაყურებლებმა“, — წერს დღეს გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“.

# საბჭოთა კოსმონავტი ინდონეზიაში

**ჯაკარტა**, 22 იანვარი. (საკდესი). გუშინ ინდონეზიის დედაქალაქში ჩამოსვლის შემდეგ საბჭოთა კოსმონავტი ანდრიან ნიკოლაევი გაემართა მერდეკის სასახლეში. საბჭოთა სტუმარმა ჩაიარა ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილ ინდონეზიელ ქალიშვილთა თავისებურ „საპატიო ყარაულს“, რომლებიც ყვავილებს ესროდნენ კოსმონავტს. იგი ავიდა პრეზიდენტის სასახლის საფეხურებით, სადაც უკვე ელოდებოდა სუკარნო. პრეზიდენტი გულთბილად მიესალმა სტუმარს, და მალე მათ შორის გაცხოველებული საუბარი გაიმართა. ნიკოლაევმა სუკარნოს და მთელ ინდონეზიელ ხალხს გადასცა საბჭოთა კავშირის ხალხების, მისი ნეგობარი კოსმონავტების გულითადი სალამი. პრეზიდენტმა ყურადღებით გამოჰკითხა ანდრიან ნიკოლაევს გაგარინის, ტიტოვის, პოპოვიჩის ჯანმრთელობის შესახებ.

— ჯანმრთელად და მხნედ არიან, — უპასუხა ნიკოლაევმა, — ბევრს შრომობენ და ბევრს სწავლობენ.

— თქვენ ხართ არა მარტო საბჭოთა კავშირის გმირი, მიმართა სუკარნომ ნიკოლაევს, არამედ მთელი ჩვენი პლანეტის გმირი, ინდონეზიელი ხალხის გმირი.

იმავე დღეს საღამოს ნეგარის სასახლეში გაიმართა დარბაზობა საბჭოთა კოსმონავტის პატივსაცემად.

**ჯაკარტა**, 22 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტის ანდრიან ნიკოლაევის ინდონეზიაში ყოფნის მეორე დღე დაიწყო ინდონეზიის ეროვნულ გმირთა სასაფლაოს დათვალიერებით ჯაკარტაში. საბჭოთა კოსმონავტმა გვირგვინით შეამკო გმირთა სასაფლაოს კედელი.

შემდეგ საბჭოთა კოსმონავტი იწვია ჩაიოაცვის მინისტრს გენერალ ჩასუტიონს, ქალაქ ჯაკარტის მერს და ინდონეზიის მთელ რიგ სხვა მაღალი თანამდებობის პირებს.

შუადღისას ანდრიან ნიკოლაევი გამოვიდა ჯაკარტის ტელევიზიით. მან ტელემაყურებლებს უამბო თავისი ისტორიული გაფრენის შესახებ, უპასუხა კორესპონდენტთა შეკითხვებს.

# რასკის გამოსვლა

**ვაშინგტონი**, 22 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება:

„იმ ამბავმა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი დაეთანხმა ადგილებზე ინსპექციის პრინციპს, ყოველ შემთხვევაში დასახა გზა სერიოზული მოლაპარაკებისათვის“, — განაცხადა დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა ინტერვიუში, რომელიც გადაიცა სატელევიზიო კომპანია „ნეიშნლ ბროდკასტინგ კომპანის“ არხებით. ჩვენ, დასძინა რასკმა, ძალიან ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ გადავდგათ გარკვეული ნაბიჯი წინ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოლაპარაკებაში.

რასკმა შეაფასა გასული წლის საერთაშორისო მოვლენები და განაცხადა, რომ მშვიდობის პერსპექტივები ახლა რამდენადმე უკეთესია, ვიდრე ამ ერთი წლის წინათ იყო. „ეს პერსპექტივები უკეთესია იმიტომ, — თქვა მან, — რომ მთელი დედამიწის ხალხებმა 1962 წელს დაინახეს მშვიდობა, რომელიც ძალიან წვრილ, მაგრამ გაჭიმულ ძაფზე ეკიდა. და მე ვფიქრობ, რომ მსოფლიოს ჰქონდა შესაძლებლობა დაენახა და კონკრეტულად და რეალისტურად გაეაზრებინა შესაძლებელი შედეგები, ეს ძაფი რომ გაწყვეტილიყო. მე მიმაჩნია, რომ ამან სიფხიზლისა და სიფრთხილის გრძნობა შეიტანა დიდი და საშიში პრობლემებისადმი მიდგომაში, და ეს თავისთავად დამაიმედებელი ფაქტორია მშვიდობის პერსპექტივისათვის“.

რასკმა აღიარა, რომ შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის არის უთანხმოებანი ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის, „საერთო ბაზარში“ ინგლისის დაშვების საკითხებში, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ მიჰყიდოს საფრანგეთს „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები. იგი შეეცადა შეემცირებინა ეს წინააღმდეგობანი, მაგრამ მაინც განაცხადა, რომ ეს წინააღმდეგობანი არ შეეხებიან „ნატოს წევრთა ძირითად ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ საშიშროების დროს“.

რასკმა განაცხადა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლის უარი ნატოს მრავალმხრივ ატომურ ძალებში მონაწილეობაზე არ ნიშნავს, რომ ასეთი ძალები არ შეიქმნება და თანაც არ შეიქმნება სწრაფად. ასეთი ატომური ძალები, ხაზგასმით აღნიშნა რასკმა, ეფექტიანი იქნება, საფრანგეთმა კიდევაც რომ არ მიიღოს მონაწილეობა მათ შექმნაში.

რასკი თავს დაესხა რევოლუციურ კუბას. იგი ამტკიცებდა, რომ კარიბის ზღვის რაიონის მშვიდობის საკითხი თითქოს დამოკიდებულია... კუბის „მოქმედებაზე“. მან გაიხსენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ის განცხადება, რომ თუ კუბა არ იქნება აგრესიის ბაზა, მაშინ პრეზიდენტი „არ დაიწყებს და არც არავის დააწყებინებს აგრესიას კარიბის რაიონში“, და აღნიშნა, რომ ეს სულაც არ ნიშნავს, უარი ვთქვათ სხვა ღონისძიებებზე კუბის წინააღმდეგ.

## მოლაპარაკება პარიზში

# ახალი მიუნხენის სახიფათო გზაზე

**პარიზი**, 21 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი იუწყება:

„პარიზ-ბონის ღერძის“ შემდგომი განმტკიცება—ასეთია მთავარი მიზანი დღეს დაწყებულ მოლაპარაკებისა პრეზიდენტ დე გოლსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ადენაუერს შორის.

მოლაპარაკების ხასიათს მოწმობს თვით ადენაუერის თანმხლები დელეგაციის შემადგენლობა: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ფონ ჰასელი, ბუნდესვერის გენერალური ინსპექტორი ფერჩი, ყოფილი ნაცისტი და სამხედრო დამნაშავე, ბუნდესვერის უმაღლესი თანამდებობის ცამეტი ოფიცერი.

გენერალ დე გოლის საუბარი კანცლერთან მიმდინარეობს პირისპირ საფრანგეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში —პარიზის ელისეს სასახლეში. ამასთანავე დღეს დაიწყო მოლაპარაკება დასავლეთ გერმანიის დელეგაციის წევრებსა და საფრანგეთის მინისტრებს შორის საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „თანამშრომლობის“ შესახებ ფართო შეთანხმების სხვადასხვა ასპექტის გამო.

მაგალითად, საფრანგეთის შეიარაღებულ ძალთა მინისტრი მესმერი ხვდება თავის დასავლეთგერმანელ კოლეგას ფონ ჰასელს. კე დ'ორსეში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი იღებს ბონელ საგარეო საქმეთა მინისტრს შრედერს. გათვალისწინებულია აგრეთვე ორივე ქვეყნის ინფორმაციის, განათლების მინისტრების მოლაპარაკება.

დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერების შეხვედრები და მოლაპარაკება ახალი მოვლენა როდია. უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი დე გოლი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა, ეს შეხვედრები საკმაოდ ხშირად ეწყობა. მაგრამ შეიძლება ითქვას, ასეთი ფართო გაქანებით პირველად ხდება. ამჯერად ადენაუერმა და დე გოლმა მიზნად დაისახეს დადონ თავისებური ყოვლისმომცველი პაქტი ორივე ქვეყნის „თანამშრომლობის“ შესახებ სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგში.

„—მიუნხენის პოლიტიკისადმი ეს დაბრუნება, — წერს დღეს გაზეთ „ლუმანიტეს“ მოწინავე სტატიაში მისი მთავარი რედაქტორი რენე ანდრიე, — შეიცავს საფრთხეს საფრანგეთისა და ევროპის მშვიდობისათვის. ამით დე გოლი ხელს უწყობს დასავლეთ გერმანიის აგრესიულ ძალებს, რომელთაც უტიფრად თავი წამოყვეს. იგი ხელს უწყობს ყოფილ ჰიტლერელ გენერლებს და მიაჩნია, რომ მათ უფლება აქვთ მოითხოვონ ატომური იარაღი“.

გარდა „პარიზ-ბონის ღერძისა“, დე გოლისა და ადენაუერის ახლანდელი მოლაპარაკების ყურადღების ცენტრშია მწვავე პრობლემები, რომლებიც უკანასკნელ დროს უთანხმოებას იწვევენ ჩრდილოეთ ატლანტიკის პარტნიორთა ბანაკში: ასეთია საკითხი ეგრეთწოდებული „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის შესახებ, „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის საკითხი. მეტწილ პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, ადენაუერი განსაკუთრებით არ ეცდება შეარბილებინოს დე გოლს საფრანგეთის პოზიცია, რომელიც აქამდე ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში ინგლისის შესვლის ძირითადი მოწინააღმდეგე იყო.

რაც შეეხება პრეზიდენტ კენედის წინადადებებს ნატოს „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის შესახებ, როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა უკვე მხარს უჭერს ამერიკის პრეზიდენტის გეგმას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ ადენაუერი მხარს დაუჭერს საფრანგეთის პრეტენზიას ჰყავდეს საკუთარი ატომური ძალები. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ბონელი მილიტარისტები იმედოვნებენ მიიღონ ატომური იარაღი: ან ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ნატოს ფარგლებში, ან დე გოლის მთავრობისაგან „პარიზ-ბონის ღერძის“ ფარგლებში. მათი პოზიცია, ყოველ შემთხვევაში, საგრძნობლად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რას მიაღწევენ საფრანგეთ-დასავლეთგერმანიის ახლანდელ მოლაპარაკებაში.

**პარიზი**, 22 იანვარი. (საკდესი). დღეს დილიდანვე აქ განახლდა მოლაპარაკება პრეზიდენტ დე გოლსა და დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერს შორის. ისევე როგორც გუშინ, მოლაპარაკება მიმდინარეობს პირისპირ პრეზიდენტის რეზიდენციაში — ელისეს სასახლეში.

**პარიზი**, 22 იანვარი. (საკდესი). როგორც იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციის ახლო მდგომ წრეებს“, პრეზიდენტ დე გოლთან დღევანდელი შეხვედრის დროს დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ადენაუერმა დე გოლს შესთავაზა კომპრომისის პროექტი „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის საკითხზე. აქ გავრცელებული ცნობების თანახმად, ადენაუერის წინადადებაა, რომ ევროპის კომისიამ, რომელსაც სხდომები აქვს ბრიუსელში, დაწვრილებით გაარჩიოს ყველა სადავო პუნქტი (ასეთი კი დაახლოებით ორმოცია), რომლებიც ხელს უშლიან შეთანხმებას ინგლისთან. ამრიგად, ადენაუერი ცდილობს საბოლოოდ არ ჩაიშალოს ამჟამად ჩიხში მოქცეული მოლაპარაკება ინგლისის შესვლის შესახებ „საერთო ბაზარში“.

**პარიზი**, 22 იანვარი. (საკდესი). დღეს პარიზში ხელი მოაწერეს საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის „ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ“. საფრანგეთის მხრივ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს პრეზიდენტმა დე გოლმა, პრემიერ-მინისტრმა პომპიდუმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა კუვ დე მიურვილმა, დასავლეთ გერმანიის მხრივ — კანცლერმა ადენაუერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა შრედერმა.

ხელშეკრულება ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომლებიც საშუალებას მისცემენ ორ ქვეყანას მომავალში შეათანხმონ თავიანთი საგარეო და სამხედრო პოლიტიკა, გააძლიერონ ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა. სახელმწიფოთა მეთაურების, მთავრობათა მეთაურების, შესაბამისი მინისტრებისა და უმაღლესი თანამდებობის მოხელეების პერიოდული შეხვედრების დროს გაიმართება კონსულტაციები, როგორც ნათქვამია ხელშეკრულებაში, იმისათვის, რომ გამონახონ დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზები. ამ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ბლოკის შიგნით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა, ნატოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობა.

ხელშეკრულება განსაზღვრავს სტრატეგიული გეგმების შემუშავებას, შეიარაღების ერთობლივი წარმოების, ოფიცერთა კადრების გაცვლის საფუძვლებსა და სხვ.

ხელშეკრულების ავტორები აცხადებენ, რომ ამ ხელშეკრულების ყველა დებულება, გარდა სამხედრო მუხლებისა, გავრცელდება აგრეთვე დასავლეთ ბერლინზე.

ამ ხელშეკრულების ხელმოწერა მოასწავებს იმას, რომ საფრანგეთის მთავრობამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ახალი მიუნხენის გზაზე.

# „მრგვალი მაგიდის“ ჰუმანური მიზანი

**პარიზი**, 21 იანვარი. (საკდესი). აქ დამთავრდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა „მრგვალი მაგიდის“ შეხვედრა, რომლებიც პერიოდულად უზიარებენ ერთმანეთს აზრს საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე და სავადასხვა წინადადებაზე სადაო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

პარიზის შეხვედრა მიმდინარეობდა 18-დან 20 იანვრამდე. „მრგვალი მაგიდის“ შეხვედრის დაწესების შემდეგ, 1959 წლიდან, ეს მეშვიდე შეხვედრა იყო.

პარიზის ახლანდელი შეხვედრის მონაწილეთა შორის იყვნენ ი. ერენბურგი, ა. ვიშნევსკი, გ. ჟუკოვი (სსრ კავშირი), გ. ბრანტინგი (შვეცია), პ. კოტი, ჟიულ მოკი და რ. შმიტლენი (საფრანგეთი), ფ. ნოელ-ბეიკერი, დ. ტომსონი, კ. ზილიაკუსი (ინგლისი), ფინ მუ (ნორვეგია), ი. ივაშკევიჩი (პოლონეთი), ლ. მოისოვი და მ. ივეკოვიჩი (იუგოსლავია), გ. ჯეკი (ამერიკის შეერთებული შტატები), ი. პლოიგარი (ჩეხოსლოვაკია), ლ. ბოკა (უნგრეთი) და სხვა მოღვაწენი, მათ შორის ბელგიის, კანადის, ფინეთის, რუმინეთის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი.

დღეს ფრანგი საზოგადო მოღვაწის ემანუილ დ'ასტიე დე ლა ვიჟერის თავმჯდომარეობით გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც პარიზის „მრგვალი მაგიდის“ შეხვედრის შედეგებს მიეძღვნა. პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ შეხვედრის მონაწილეებმა ძირითადად ყურადღება დაუთმეს საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხს, აგრეთვე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. ჟურნალისტებს გააცნეს შეხვედრის გადაწყვეტილებანი და დასკვნები.

„მრგვალი მაგიდის“ სხდომაზე განიხილეს აგრეთვე გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის საკითხი. ამ საკითხზე „მრგვალ მაგიდას“ არ მიუღია ვრცელი რეზოლუცია და მოკლე მიმართვა გაუგზავნა დაინტერესებულ მხარეებს, რომ განახორციელონ ღონისძიებანი ყველასათვის მისაღები კომპრომისის მისაღწევად.

პრეს-კონფერენციაზე აღნიშნეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ვერ მიიღეს მონაწილეობა პარიზის „მრგვალი მაგიდის“ შეხვედრაში იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ მისცეს ჩამოსვლის ვიზები.

# შეხვედრა ვაშინგტონში

**ვაშინგტონი**, 23 იანვარი. (საკდესი). გუშინ აქ სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო და მეთაური საბჭოთა დელეგაციისა 18 ქვეყნის განიარაღების კომიტეტში ს. კ. ცარაპკინი შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს — განიარაღების და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს დირექტორს უ. ფოსტერს და 18 ქვეყნის განიარაღების კომიტეტში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მოადგილეს ჩ. სტელეს.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში დ. ორმსბი-ჰორმა.

# ავი განზრახვა

**ნიუ-იორკი**, 23 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა თანაშემწემ სამეცნიერო საკითხებში ჯერომ ვიზნერმა გუშინ ვაშინგტონში განაცხადა, რომ კოსმოსური ფრენა მოეწყობა არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ შესაძლო სამხედრო მიზნებისათვისაც.

# „მწყალობელნი“

**ნიუ-იორკი**, 23 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იუწყება:

ამერიკელმა მილიარდერმა ნელსონ როკფელერმა გადაწყვიტა სიკეთე ეყო უკრაინელთათვის. გუბერნატორის ბრძანებულებით 22 იანვარი ნიუ-იორკის შტატში გამოცხადდა „უკრაინის დამოუკიდებლობის დღედ“. როკფელერის მაგალითს მიბაძეს კიდევ რამდენიმე შტატის გუბერნატორებმა და ქალაქ ნიუ-იორკის მერმა რ. ვაგნერმა.

ცთუნებისაგან —„ ეზრუნათ“ უკრაინისათვის — თავი ვერ შეიკავეს ვაშინგტონელმა სახელმწიფო მოღვაწეებმაც. გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სენატის სხდომა დაიწყო ლოცვით „უკრაინელი ხალხისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“. შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა სენატორი ჰიუ სკოტი (რესპუბლიკელი პენსილვანიის შტატიდან), რომელიც ცრემლმორეული ქადაგებდა, რომ „თავისუფლება, რითაც ტკბებიან ადამიანები შეერთებულ შტატებში, არ გამხდარა ცხოვრების წესი“ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მოქალაქეთათვის.

შესაძლოა, ამერიკელ მილიონერებსა და სენატორებს არ მოსწონთ, რომ უკრაინის მიწიდან სამუდამოდ განდევნეს მემამულენი და მექარხნენი, ატამანები და თეთრგვარდიელი გენერლები.

შესაძლოა, ეს არ მოსწონს როკფელერსაც. ცნობილია, რომ როკფელერის კაპიტალი უკვე ეპოტინებოდა უკრაინის დასავლეთი რაიონების ბუნებრივ სიმდიდრეებს ამ ოლქების უკრაინის სს რესპუბლიკასთან შეერთებამდე. მაგრამ ერთი საქმეა გრძნობა, მეორე საქმე კი — პოლიტიკური ანგარიში.

საეჭვოა ყველაზე შუბლმაგარ ამერიკელ პოლიტიკურ რეაქციონერს არ ესმოდეს, რომ ვერავითარი ლოცვა და პროკლამაცია, ვერავითარი მუქარა და მტრული გამოსვლა ვერ აღადგენს კაპიტალიზმს საბჭოთა კავშირში. ნავთს რომ ასხამენ „ცივი ომის“ ცეცხლზე, როკფელერი და კომპანია ბინძურ პოლიტიკურ თამაშს აწარმოებენ. ისინი იმედოვნებენ, რომ ანტისაბჭოთა განცხადებანი მათს მხარეზე გადაიბირებენ ემიგრაციის ყველაზე რეაქციულ ფენებს, მოთაფლავენ ყველაზე აღვირახსნილ ამერიკელ „ულტრებს“.

# ინგლისის დიდი გასაჭირი

**ლონდონი**, 22 იანვარი (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ მაკმილანი გუშინ გამოვიდა კონსერვატიული პარტიის ლივერპულის ორგანიზაციის კრებაზე. მისი სიტყვა, რომელსაც ბურჟუაზიულმა პრესამ წინასწარ გაუკეთა რეკლამა როგორც „პასუხს დე გოლისადმი“, რომელმაც ჩაშალა მოლაპარაკება „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის შესახებ, მართლაც ძირითადად „საერთო ბაზარს“ მიეძღვნა. მაკმილანი აღიარებს, რომ არსებობს „დიდი წინააღმდეგობანი“ დასავლეთის სახელმწიფოებს შორის, და გულისწყრომა გამოთქვა ფრანგი პარტნიორის მიმართ.

თუ პრინციპულად წინააღმდეგი იყვნენ „საერთო ბაზარში“ ინგლისის მონაწილეობისა, განაცხადა მაკმილანმა, „აუცილებლად თავიდანვე უნდა ეცნობებინათ ეს ჩვენთვის“. მიუხედავად ამისა, არც ბრიუსელის მოლაპარაკებაზე, რომელიც უკვე წელიწადნახევარია გრძელდება, არც უკანასკნელი შეხვედრის დროს დე გოლთან რამბუიეში, საფრანგეთის მხარეს, მაკმილანის სიტყვით, არ გამოუთქვამს პრინციპული წინააღმდეგობა იმისადმი, რომ ინგლისი შეუერთდეს „საერთო ბაზარს“.

მაკმილანმა თქვა, რომ ინგლისის მთავრობამ „მეტისმეტად ნათლად“ ცხადყო, რომ იგი იღებს რომის ხელშეკრულებას როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად, და ჩამოთვალა დათმობანი, რომლებზეც წავიდა ინგლისი მოლაპარაკების დროს, რომელიც წარსულ კვირაში ის-ის იყო „უკანასკნელ რაუნდში“ შევიდა.

მაკმილანმა საკმაოდ გარკვევით განაცხადა, რომ, როგორც თვითონ იმედოვნებს, „სხვა ქვეყნების (ევროპის ექვსეული) და ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა შესაძლებელს გახდის“ „კონსტრუქციულად გადაიჭრას“ „საერთო ბაზარში“ ინგლისის მონაწილეობის საკითხი, მიუხედავად დე გოლის წინააღმდეგობისა. მან ამასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, რომ ინგლისის მთავრობის თვალსაზრისით „გაერთიანებულმა ევროპამ „მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო დარგში.

შეეხო რა საშინაო პრობლემებს, პრემიერ-მინისტრმა აღიარა, რომ უკანასკნელ თვეებში უმუშევრობამ ინგლისში „საგანგაშო ზომას“ მიაღწია.

პრემიერ-მინისტრის გამოსვლას მთავრობამ სპეციალურად დაუკავშირა მდინარე მერსეის რაიონის გამოცხადება „გაძლიერებული ეკონომიური განვითარების“ ზონად. მაგრამ ამ მანევრს წარმატება არ ჰქონია ლივერპულის პროლეტარიატს შორის. ასობით აღშფოთებული მუშა ლოზუნგებით: „ძირს კონსერვატორები!“, „ჩვენ გვინდა არა სიტყვები, არამედ სამუშაო!“ შეიკრიბა გუშინ შენობასთან, სადაც მაკმილანი უნდა გამოსულიყო. პოლიციის გაძლიერებული რაზმები ძლივს აკავებდნენ დემონსტრანტებს, მაშინ როცა პრემიერი დარბაზში გვერდის კარიდან შეიყვანეს.

# რეაქციული კანონი მოქმედებს

**ნიუ-იორკი**, 23 იანვარი. (საკდესი). ძირგამომთხრელი საქმიანობისადმი კონტროლის სამმართველომ წინადადება მისცა გაზეთ „უორკერის“ თანამშრომელს ლუის ვეინსტოკს რეგისტრაციაში გაატარდეს იუსტიციის სამინისტროში მაკარენის ყბადაღებული კანონის საფუძველზე.

ლ. ვეინსტოკი მეცხრე კაცია, რომელსაც სამმართველომ წინადადება მისცა რეგისტრაციაში გატარდეს ამ ანტიდემოკრატიული კანონის საფუძველზე. ყველა მათგანმა უარი განაცხადა ამაზე და თქვა, რომ კანონი არღვევს ძირითად კონსტიტუციურ გარანტიებს.

# უ ტანის პასუხი კვამე ნკრუმას

**ნიუ-იორკი**, 21 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა უარყო განის პრეზიდენტის კვამე ნკრუმას მოთხოვნა დააპატიმროს და სამართალში მისცეს კატანგელ სეპარატისტთა მეთაური ჩომბე.

ეს სურათები გადაღებულია ინგლისის კოლონია კენიის მთავარ ქალაქ ნაირობიში.

მარცხნივ — ჯურღმულები, სადაც აფრიკელები ცხოვრობენ; მარჯვნივ — ევროპელთა კვარტალი.

კენიის ხალხი იბრძვის თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და მისი მოპოვების შემდეგ კენიელებს დიდი მუშაობა დასჭირდებათ, რომ ბოლო მოუღონ კოლონიალიზმის მემკვიდრეობას, მოსპონ ადამიანისათვის შეუფერებელი ქოხმახები.

ფოტო აპ-საკდესისა.

# ჯ. კენედი თათბირობს

**ვაშინგტონი**, 23 იანვარი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა კენედიმ მოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც დაახლოებით ერთ საათს მიმდინარეობდა. ამ სხდომას, უშიშროების ეროვნული საბჭოს წევრთა გარდა, ესწრებოდნენ აგრეთვე სახელმწიფო დეპარტამენტის, პენტაგონის, ამერიკის შეერთებული შტატების განიარაღების და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს და მთავრობის მთელ რიგ სხვა უწყებათა ხელმძღვანელი თანამშრომლები.

სხდომის დამთავრების შემდეგ თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა სელინჯერმა განაცხადა, რომ ამ სხდომის მიზანი იყო საერთაშორისო ვითარების მიმოხილვა ახალი წლის დაწყებასთან დაკავშირებით. ეს მიმოხილვა, აღნიშნა სელინჯერმა, გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ, რომელიც, კერძოდ, შეეხო კუბასთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხებს.

# უსიხარულო შედეგები

**ვაშინგტონი**, 21 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება:

დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ [illegible] ქვეყნის ეკ[illegible] შესახებ. პრეზიდენტის [illegible] ამერიკის შე[illegible]ური განვითარებისა 1961-62 წლებში და მოცემულია 1963 წლის პროგნოზები.

მთავარი დასკვნები, რომელთაც ორივე დოკუმენტი შეიცავს, ის არის, რომ ამერიკის ეკონომიკის აღდგენა ომისშემდგომი ეკონომიური კრიზისების სერიის შემდეგ ნელა მიმდინარეობს, არსებული საწარმოო სიმძლავრეები მთლიანად არ არის გამოყენებული, უმუშევრობა კვლავ მაღალ დონეზეა და ამერიკის შეერთებული შტატები ჩამორჩებიან სხვა ქვეყნებს ეკონომიური განვითარების ტემპით.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ 1962 წელს შეიმჩნეოდა „დასაქმების, წარმოებისა და მყიდველობითი უნარის“ ამაღლება ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ იგი აღიარებს, რომ წარმოების ზრდა შეერთებულ შტატებში 1962 წელს 2-ჯერ უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე 1961 წელს. კაპიტალური დაბანდებანი, ნათქვამია წერილში, მოსალოდნელზე ნაკლები იყო.

აღდგენის ტემპის შენელება დამახასიათებელია მთელი 1962 წლისათვის, აღნიშნულია პრეზიდენტთან არსებული ეკონომიური საბჭოს მოხსენებაში. „შუა წელიწადში ყოყმანმა, რომელიც ეკონომიური აქტივობის მერყევმა მაჩვენებლებმა წარმოშვეს და რომელსაც თან ახლდა ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემა ბირჟაზე, გამოიწვია დიდი შეშფოთება [illegible] შესაძლებელია მოხდეს [illegible]ობის შენელება 1962 [illegible] ეკონომიური საბჭოს [illegible]ს შედეგი იყო, რომ [illegible]ანია ჩამორჩება მიწო[illegible]ენა 1957 წელს დაიწყო. „ის ძალები, რომლებიც უკანასკნელ წლებში არ გვაძლევდნენ საშუალებას მიგვეღწია სრული დასაქმებისათვის, ისევ მოქმედებენ“.

შეერთებული შტატები კვლავ ვერ იყენებენ მთლიანად თავიანთ ეკონომიურ პოტენციალს. საწარმოო სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი დატვირთავი იყო. მშრომელთა შემოსავლის დონე 1962 წელს 18-20 მილიარდი დოლარით ნაკლები იყო, ვიდრე იქნებოდა შედარებით სრული დასაქმების პირობებში.

ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის 1957-62 წლების განვითარების შედეგები, ხაზგასმულია ეკონომიური საბჭოს მოხსენებაში, 1947-1957 წლების ამერიკის შეერთებული შტატების მაჩვენებლებზე, აგრეთვე დასავლეთის სხვა ქვეყნების მიღწევებზე დაბალია. წარმოების, შემოსავლისა და შრომის ნაყოფიერების ყოველწლიური ზრდა უკანასკნელ წლებში 1 პროცენტით ნაკლები იყო წინა ათ წელიწადში მიღწეულ დონესთან შედარებით.

1957-62 წლებში ერთობლივი, ეროვნული პროდუქტის ყოველწლიური მატება ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგენდა მხოლოდ 3 პროცენტს, სამრეწველო წარმოების ზრდა კი —3,3 პროცენტს.

უმუშევრობა უკანასკნელ ხუთ წელიწადში — გარდა მარტო ერთი თვისა — სამუშაო ძალის საერთო რიცხვის 5 პროცენტზე ნაკლები არ ყოფილა. 1962 წელს უმუშევრობა საშუალოდ 5,6 პროცენტს შეადგენდა. ოთხ მილიონზე მეტი ამერიკელი სავსებით უმუშევარი იყო, 2,3 მილიონი კაცი კი — ნაწილობრივ უმუშევარი.

დაწყებული 1957 წლიდან, უმუშევრობა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე პირველ ომისშემდგომ წლებში. გაიზარდა არა მარტო უმუშევართა რიცხვი, არამედ უმუშევრობის საშუალო ხანგრძლივობაც, რომელიც 1948-57 წლებში საშუალოდ შეადგენდა 10,3 კვირას, ახლა კი — 14,3 კვირას.

პრეზიდენტი და მისი ეკონომიური მრჩევლები კარგს ვერაფერს პირდებიან ამერიკელებს 1963 წლისათვის. არ შეიძლება მოველოდეთ, ნათქვამია ეკონომიური საბჭოს მოხსენებაში, არც უმუშევრობის დონის რამდენადმე საგრძნობ შემცირებას, არც საწარმოო სიმძლავრეთა დატვირთვის რამდენადმე მნიშვნელოვან გადიდებას. 1963 წელს მოსალოდნელია მოთხოვნის იგივე დონე, რაც ანელებდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის ზრდის უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში.

# რად დაუჯდათ ამერიკელებს „კარიბის კრიზისი“

**ნიუ-იორკი**, 22 იანვარი. (საკდესი). შეიარაღებული ძალების გადიდება კარიბის ზღვის კრიზისის პერიოდში შეერთებულ შტატებს 180 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, რომ ეს ციფრი მოიყვანა წარმომადგენელთა პალატის თავდაცვის საჭიროებათა ასიგნებების ქვეკომისიის თავმჯდომარემ ტ. ნილმა. სააგენტო აგრეთვე აღნიშნავს, რომ პენტაგონი კიდევ მოითხოვს კონგრესს დამატებით თანხებს თავისი „ოპერაციების“ დასაფარავად კრიზისის პერიოდში.

# დაე, იზეიმოს მშვიდობამ!

# [illegible] ამბები

## ჩვენი ინტერვიუ • ცნობები • ფაქტები • სპორტის ამბები

# ენრიკე მანტიჩი: დიდად ვაფასებთ თქვენს მეგობრობას

### ჩვენი ინტერვიუ

აფიშა ლაკონიურად იუწყება:

...დირიჟორი ენრიკე გონსალეს მანტიჩი (კუბა).

ამ ხელოვანს ჩვენი დედაქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიობა დირიჟორის პულტთან შეხვდება 26 და 27 იანვარს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც კონცერტს გამართავს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

ბუნებრივია ამ კონცერტებისადმი თბილისელთა დიდი ინტერესი.

გუშინ კი კუბის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორს სასტუმრო „თბილისში" შევხვდით არა როგორც დირიჟორს, არამედ, როგორც თვითონ თავმდაბლად ამბობს, „კიდევ ერთ რიგით კუბელს, სახალხო დაცვის რაზმელს".

იგი, როგორც ყველა კუბელი, გატაცებით ლაპარაკობს კუბაზე, რევოლუციაზე, თავისუფლებაზე, ფიდელზე. მაშინაც კი, როცა შევეკითხეთ:

— რას იტყვით დღევანდელი კუბის მუსიკაზე?

— მაესტრო მანტიჩიმ გვითხრა:

— ეს, ორი სიტყვით რომ ვთქვათ, რევოლუციის ექოა. თავისუფლება უფრო ლაღად ამღერებს კუბელ ხალხს. აი თუნდაც ჩემი სიმღერა „პარტიზანი" ყველაზე მეტად მიყვარს. მიყვარს იმიტომ, რომ ამ რევოლუციურ მარშს მღერის მთელი ჩვენი ხალხი.

დღეს ჩვენს კუნძულზე დიდი ექსტაზით მღერიან საკმაოდ პოპულარული კომპოზიტორების კარლოს პუებლას, ინდიო ნაბორის, ტანია კასტელიანოს და სხვათა სიმღერებს. ეს სიმღერები რევოლუციამ შვა.

როგორც იცით, ჩვენ ახალ ცხოვრებას ვაშენებთ, და უნდა გამოგიტყდეთ, ნამდვილად თანამედროვე და დიდი მუსიკალური ტილოების შესაქმნელად ჯერჯერობით საკმარისი დროც არა გვაქვს.

— კუბელთა კუნძულს ჯერ კიდევ დაცვა სჭირდება იმპერიალისტებისაგან, — სიტყვა წაართვა მანტიჩის მისმა ცოლმა ედმე ლასა პარლამ. იგი სპეციალობით მხატვარია, მაგრამ ფუნჯთან ერთად იარაღი უჭირავს ხელში და სახალხო დაცვის ქალთა ბატალიონში ასეულს მეთაურობს.

ედმე ლასა პარლა კუბელ ქალთა ფედერაციის ეროვნული კომისიის აქტიური წევრია.

როგორც მისგან გავიგეთ, მაესტრო მანტიჩი ცამეტი წლის წინათ ყოფილა საბჭოთა კავშირში და ცნობილ მუსიკოსებთან ანოსოვთან და გაუკთან სწავლობდა.

1962 წელს მოსკოვში მიიწვიეს საპატიო სტუმრად ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსზე.

— როგორია თქვენი ტურნე წელს ჩვენს ქვეყანაში და რა პროგრამას მოვისმენთ კონცერტებზე?

— მოსკოვის შემდეგ, — თქვა კუბელმა დირიჟორმა, — როგორც ხედავთ, თქვენი სტუმრები ვართ. აქედან გასტროლები გაგრძელდება ერევანში, ბაქოში, ლენინგრადში. კონცერტებზე შესრულებულ იქნება საბჭოთა და კუბელი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

თქვენს ქვეყანაში შესასრულებლად ჩემი ნაწარმოებებიდან ავირჩიე ინტროდუქცია და ცეკვა.

სიტყვამ მოიტანა და მინდა გითხრათ, რომ კუბაში გავეცანი ქართულ ხალხურ ცეკვებს, როცა თქვენი ანსამბლი საგასტროლოდ იმყოფებოდა. შთაბეჭდილება წარუშლელია.

თქვენმა ცეცხლოვანმა ცეკვებმა დაატყვევეს არანაკლებ ტემპერამენტიანი კუბელები, მათ შორის მეც.

ახლა კი ვეცნობი ამ ცეკვების შემქმნელ ხალხს, და, მართალი გითხრათ, მომხიბლა თავისუფალი კუბისადმი ამ ხალხის სოლიდარობამ და ინტერესმა.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ თანაგრძნობას, მეგობრობას.

მაესტრო მანტიჩიმ კალამი მოიმარჯვა და ბლოკნოტში რამდენიმე თბილი სიტყვა ჩაგვიწერა:

**მივესალმები გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს და მთელ ქართველ ხალხს და ვუსურვებ დიდ ბედნიერებას, წარმატებას ახალი ცხოვრების — სამართლიანი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.**

**ე. მანტიჩი.**

თბილისი,
21 იანვარი. 1963.



Un recuerdo a los lectores
del "Comunista" y al pueblo
con el mas grande
deseo de éxitos y felicidad
en la construcción de
la nueva vida, camino
de una sociedad justa
comunista.

Tbilisi 21 Enero 1963

* * *

**სურათზე:** კუბელი დირიჟორი ენრიკე გონსალეს მანტიჩი და მისი მეუღლე ედმე ლასა პარლა. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ქალაქი მხრებს შლის

ხაშურში, რუსთაველისა და ლესელიძის ქუჩების შესაყარში დიდი სამსართულიანი შენობა აღიმართა. ხელოსნები უკვე შეუდგნენ შიდა მოსაპირკეთებელ სამუშაოებს. აქ იქნება 104-ადგილიანი ახალი სასტუმრო.

ხაშურელ მშრომელებს ახარებთ ახალი წყალსადენის მშენებლობა. მაგისტრალურ ხაზზე დამთავრდა მილების ჩაწყობა, აგებულია წყალსაქაჩავი სადგური, სწრაფად მიმდინარეობს ჭების გაწმენდა და ახალი წყალსაცავის აგება. მშენებლებმა გადაწყვიტეს ახალი წყალსადენი მწყობრში ჩააყენონ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 42-ე წლისთავისათვის. ეს წყალსადენი მთლიანად უზრუნველყოფს ქალაქის მოთხოვნილებას.

ხაშურში მალე ამუშავდება მექანიკური სამრეცხაო, ლიმონათის ქარხანა.

**დ. ფარემუზოვი.**

## მეისრის მამაცობა

**ტყიბული.** (საკ. კორ.). ნიშანსვეტი გაიღო. რამდენიმე წუთი, და ეშელონი შემოგრიალდება რკინიგზის სადგურზე. მეისრე გრიგოლ ცირეკიძე ფხიზლად დგას თავის პოსტზე...

რკინიგზის გადასასვლელს, რომლის ხერგილიც დაუკეტავი იყო, ხის მორებით დატვირთული ავტომანქანა მიადგა. მძღოლმა დაბალი სიჩქარე ჩართო, მანქანა ნელი სვლით გადავიდა ლიანდაგზე და აღმართს აუყვა. ამ მომენტში ერთი მორი ძარადან გადმოცურდა და რელსებში გაიჩხირა. ამ დროს ეშელონმა ნიშანსვეტს მოაყვირა. ავარია გარდუვალი იყო. მაგრამ მეისრე გ. ცირეკიძე არ დაიბნა. იგი ბერკეტის სახელურს მივარდა და ნიშანსვეტი დაკეტა. მატარებელი გაჩერდა. ავარია თავიდან იქნა აცილებული.

## სასიხარულო ფაქტები

### საჩუქარი ნორჩებს

**სოხუმი.** (საკ. კორ.). ქალაქის დასავლეთ ნაწილში გაიხსნა სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების № 3 სანატორიული ბაგა-ბაღი, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს. ბაგა-ბაღის შენობა კეთილმოწყობილია. თვითეული ჯგუფისათვის გამოყოფილია ცალკე სართული. შენობას აქვს ცენტრალური გათბობა. ბაგა-ბაღი უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით. ბაგა-ბაღს მომსახურებას უწევს მექანიზებული სამრეცხაო.

### ახალი უნივერმაღი

**გაგრა.** (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში, კურორტის ქუჩაზე გაიხსნა ახალი ორსართულიანი უნივერმაღი.

პირველ სართულზე მოთავსებულია კულტსაქონლის, მუსიკალური ინსტრუმენტების, ფოტომასალების, ჭურჭლისა და საოჯახო ნივთების განყოფილებები. მეორე სართულზე მომხმარებელთა განკარგულებაშია მზა ტანსაცმლის, ფართლეულისა და ფეხსაცმლის განყოფილებები.

# ნ. ფოცხვერაშვილი



გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი [illegible] ფოცხვერაშვილი. ქართულმა მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ დაკარგა ენერგიული მუშაკი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართული ხალხური მუსიკის პროპაგანდასა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს მოახმარა.

ნ. ფოცხვერაშვილი დაიბადა და აღიზარდა ცნობილი ქართველი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის კოტე ფოცხვერაშვილის ოჯახში, სადაც ბავშვობიდანვე შეიყვარა ქართული მუსიკა.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნ. ფოცხვერაშვილი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1941 წელს დაამთავრა. მაგრამ მისი შემოქმედებითი ინტერესების მთავარ წყაროდ მუდამ მუსიკა რჩებოდა. უკვე ცამეტი წლის გოგონა მღერის მეჩონგურე ქალთა ანსამბლში, რომელსაც დედამისი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ფოცხვერაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ ანსამბლთან ერთად მან მონაწილეობა მიიღო საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების I დეკადაში მოსკოვში 1937 წელს და გაიზიარა ანსამბლის დიდი მუსიკალური წარმატება.

1940 წლიდან იგი მხარში ამოუდგა თავის დედას როგორც ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელის მოადგილე. 1953-1956 წლებში კი იგი ანსამბლის დირექტორი და მხატვრული ხელმძღვანელია.

1942 წელს ნ. ფოცხვერაშვილი შევიდა და 1947 წელს ამთავრებს ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ განყოფილებას პროფესორ ო. შულგინას კლასით. 1958 წელს ნ. ფოცხვერაშვილი, როგორც საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის დირიჟორი მონაწილეობს საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მეორე დეკადაში.

თავის შემოქმედებით მოღვაწეობას იგი ათავსებდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ და ამზრდელობით მუშაობასთან. 1958 წლიდან უკანასკნელ დღეებამდე იგი იყო თბილისის მე-6 მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი და პედაგოგი, აგრეთვე I მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი. იგი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა ჩვენს მუსიკალურ საზოგადოებრიობაში.

ნ. ფოცხვერაშვილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1959 წლიდან. საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების წინაშე დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებული იყო მედლებით, 1956 წელს კი მას საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

ნ. ფოცხვერაშვილის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მრავალთა გულში.

**საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.**
**საქართველოს საგუნდო საზოგადოება.**
**თბილისის საბჭოს აღმასკომის კულტურისა და კინოფიკაციის განყოფილება.**

# გამოჩენილი რომანისტი

### სტენდალის დაბადების 180 წლისთავის გამო

„თქვენ შეიბრალეთ ობოლი, რომელიც შუა ქუჩაში იყო მიტოვებული. მე არ ვფიქრობდი, თუ 1880 წლამდე წამიკითხავდნენ. თქვენი ნაბიჯი უჩვეულოა. მე მინდა მოგბაძოთ თქვენ და გულწრფელად გიპასუხოთ. მიიღეთ ჩემი მადლობა უფრო მეტად რჩევისათვის, ვიდრე ქებისათვის" — ასე სწერდა სტენდალი თავის სახელოვან თანამემამულეს დიდ რეალისტ მწერალს ონორე დე ბალზაკს, რომელმაც რამდენჯერმე გულდასმით წაიკითხა სტენდალის ახალი რომანი „პარმის სავანე" და ავტორის იშვიათი ნიჭით აღფრთოვანებულმა ვრცელი ეტიუდი დაწერა მასზე.

უყურადღებოდ მიტოვებული სტენდალი ბალზაკმა აღმოაჩინა, მან ხმამაღლა და გაბედულად აუწყა საზოგადოებრიობას, რომ სტენდალი იყო ორიგინალური და მართალი მხატვარი რეალისტი, რომლის „პარმის სავანემ" განაცვიფრა იგი.

სტენდალს სიცოცხლეში არ ღირსებია პატივი და დიდება, ისეთი მწერლის ბედი, რომელიც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გახმაურდება და შარავანდედით შეიმოსება, მაგრამ სიკვდილის შემდეგ, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან, მთასავით წარმოსდგა კაცობრიობის წინაშე სტენდალის გიგანტური ფიგურა, ხოლო მისი მხატვრული ნაწარმოებები ნიადაგსაკითხავ წიგნებად იქცნენ.

მეორე სამშობლო სტენდალისათვის იყო იტალია, სადაც ის ხშირად ცხოვრობდა და ქმნიდა. სტენდალი აქტიურად თანაუგრძნობდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამ თემაზე დაწერა თავისი ერთ-ერთი საუცხოო ნოველა „ვანინა-ვანინი".

1821 წელს ავსტრიის მთავრობამ შეამჩნია სტენდალს კარბონარიებთან კავშირი. მწერალი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა მილანი და პარიზში წასულიყო. მის ახალ ნაწარმოებებში აშკარად ჩანს ავტორის ოპოზიციური დამოკიდებულება ბურბონთა რეაქციული რეჟიმისადმი და სიყვარული მშრომელი მასებისადმი.

სტენდალის შემოქმედება ღრმად ხალხურია. ის მუდამ ისეთი მხატვრული ლიტერატურის შექმნისათვის იბრძოდა, რომელიც სარგებლობას მოუტანდა ხალხს, რომელშიც მშრომელი მასები არა მარტო თავიანთ თავს დაინახავდნენ, არამედ თავიანთ ნათელ მომავალსაც. სტენდალს სწამდა ხალხის დაუშრეტელი ძალა და ენერგია. მისი აზრით, გენია სწორედ ხალხშია, როგორც ნაპერწკალი კაჟში.

რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა ადრევე დაინტერესდა სტენდალის პიროვნებით, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობით. ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ რუსულად არა მარტო სტენდალის ნაწარმოებები ითარგმნა და დაიბეჭდა დიდი ტირაჟით, არამედ დაიწერა და გამოქვეყნდა მონოგრაფიების, გამოკვლევების მთელი სერია დიდი ფრანგი მწერლის შემოქმედებაზე.

წიგნისმოყვარული ქართველი მკითხველისათვის დიდი ფრანგი მწერლის გაცნობის საქმეში ერთი პირველთაგანი იყო გერონტი ქიქოძე. მან მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით თარგმნა ფრანგულიდან სტენდალის „იტალიური ქრონიკები" („ჩენჩი", „ვიოლანტე პალიანო", „წმიდა ფრანჩესკოს ეკლესია", „ვანინა-ვანინი"), რომელიც გამოქვეყნდა 1928 წელს.

გერონტი ქიქოძემ სტენდალის ეს ნაწარმოებები სათარგმნელად იმიტომ აირჩია, რომ, მისი აზრით, მათში ბევრი მსგავსებაა საქართველოს ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებთან. გ. ქიქოძე ამ კეთილშობილურ საქმეს გულმოდგინედ განაგრძობდა და ქართველი მკითხველი გაახარა კიდევ ახალი თარგმანით. ეს იყო სტენდალის განთქმული რომანი „წითელი და შავი", რომელსაც მან მოკლე, მაგრამ მშვენიერი წერილი დაურთო ავტორისა და მისი შემოქმედების შესახებ. ხოლო გ. ქიქოძის ქალიშვილმა თინათინ ქიქოძემ თარგმნა სტენდალის გახმაურებული რომანი „პარმის სავანე". ასე შეიქმნა ჩვენში სტენდალის მხატვრულ ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის კარგი ტრადიციები.

პროფესორმა აკაკი გაწერელიამ 1940 წელს გამოაქვეყნა ნიჭიერად და ლაკონიურად დაწერილი სტატია სტენდალზე, რომელშიც დახასიათებულია მწერლის სტილი და მისი მსოფლმხედველობა.

სტენდალი შორიდან იცნობდა საქართველოს, როგორც ჩანს, საქართველოში მოგზაური ფრანგი მოღვაწეების ჩანაწერებით. როგორც შატობრიანს, ჰიუგოს, ბალზაკს, ალ. დიუმას (მამას) და სხვებს, ასევე მასაც უმთავრესად ეგზოტიკური წარმოდგენა ჰქონია საქართველოსა და ქართველ ხალხზე.

ქართველი ხალხისათვის სტენდალი მახლობელი და საყვარელი მწერალი გახდა. მან კარგად იცოდა ფასი ცხოვრებისა და სიყვარულისა. ის გულშიჩამწვდომად ამბობდა ხოლმე, „საცოდავნი არიან ადამიანები, რომლებიც სიკვდილის გამო ტირიან, მაგრამ არ ტირიან ახალგაზრდობის დაკარგვის გამო".

სტენდალს უნდოდა დიდხანს ეცოცხლა და მუდამ ახალგაზრდა ყოფილიყო, რათა დაეძლია ცხოვრების სიძნელენი და აქტიურად ებრძოლა უკეთესი და ბედნიერი მომავლისათვის. ამ აზრით ის მუდამ თანამედროვე მწერალია, რომელსაც მადლიერი კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს.

**დოცენტი დ. ფანჩულიძე.**

# მეამბოხე პოეტი

### ბაირონის დაბადების 175 წლისთავის გამო

ყველა თაობას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში თავისი უგვირგვინო მეფე ჰყოლია. მე-19 საუკუნის დასაწყისში ასეთი ფიგურა, იყო ბაირონი.

ინგლისელები ხშირად სკეპტიკურ დამოკიდებულებას იჩენენ თავიანთი დიდი თანამემამულის როლისა და წონის მიმართ ინგლისური ლიტერატურის განვითარებაში. ზოგჯერ გაკვირვებასაც გამოთქვამენ იმის გამო, რომ იგი ასეთი პოპულარობით სარგებლობს ინგლისის საზღვრებს გარეთ.

დიდი ესთეტიკური ღირებულების გარდა, ბაირონის პოეზიას ის მნიშვნელობაც ჰქონდა მე-19 საუკუნის პროგრესულად განწყობილი თაობებისათვის, რომ იგი პოეტის მშფოთვარე, მეამბოხური ცხოვრების გულწრფელ და უშუალო ანარეკლს წარმოადგენდა.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის პირველივე დღიდან ბაირონი გარკვეულ წონას იძენს საზოგადოებაში, მაგრამ ამასთანავე იგი აღიზიანებს და აფორიაქებს კრაზანას ბუდეს, საიდანაც მას შემდგომ მაღალი საზოგადოების ჭორიკანები და უსულგულო პურიტანული მორალის მესვეურები შემოესევიან.

„ჩაილდ ჰაროლდის" პირველმა და მეორე სიმღერამ უცებ გაუთქვა სახელი ბაირონს და რომანტიკული მოგზაურობიდან ახლად დაბრუნებულ პოეტს ლონდონის საზოგადოების საყოველთაო სიყვარული და თაყვანისცემა მოუპოვა. მართალია, რეაქციონერ ლიტერატორებს თავიდანვე თვალში არ მოუვიდათ ბაირონის ვაჟკაცური, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ გაბედულად ამაღლებული პოეტური ხმა, მაგრამ მისმა უდავო ნიჭმა, ახალი შინაარსისა და ნატიფი მხატვრული ფორმის შემცველმა ბრწყინვალე პოეზიამ დაიპყრო იმდროინდელი ინგლისი.

ცხოვრებისაგან დაღლილი, მაგრამ თამამი, თავისუფალი მოაზროვნე რომანტიკული გმირი სხვადასხვა პოეტური სახით ბაირონის მომდევნო ნაწარმოებებშიც გამოჩნდა.

1815 წელს ლონდონის მაღალი საზოგადოების ბრწყინვალებით დაღლილი პოეტი სულიერი წონასწორობისა და ოჯახური მყუდროების მოსაპოვებლად ცოლს ირთავს. მაგრამ მისს ანა მილბენკი შორს იდგა ბაირონის მაღალი იდეალებისაგან და მათ ურთიერთობაში მალე იჩინა თავი ნერვიულობამ და უნდობლობამ. 1816 წელს ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდა. ქალს დარჩა ქალიშვილი ადა, ბაირონს კი თანამემამულეების გულისწყრომა და რისხვა, რამაც ისეთ ფარგლებს მიაღწია, რომ ინგლისელების ამ მორიგ პურიტანულ ამხედრებას ზნეობის „წმიდათა-წმიდა" პრინციპების დასაცავად შედეგად მოჰყვა პოეტის სამშობლოდან გაძევება. ამჯერად ბაირონმა საბოლოოდ დატოვა ინგლისი.

სამშობლოდან გადახვეწილი პოეტი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას განაგრძობდა. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში დაიწერა „ჩაილდ ჰაროლდის" უკანასკნელი სიმღერები, „მანფრედი", „დონ-ჟუანი", „კაენი" და სხვ. ამ ბრწყინვალე ნაწარმოებებმა ბაირონს მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს. მე-19 საუკუნის ევროპის მოწინავე საზოგადოებისათვის მახლობელი იყო ბაირონის მეამბოხური სულისკვეთება, მისი სულიერი სიმტკიცე და პოეტური მგზნებარება. მისთვის სიტყვა და საქმე მუდამ ერთი იყო.

ინგლისში გაბატონებული საზოგადოებრივი პრინციპებისა და ტრადიციების წინააღმდეგ ამბოხებამ? გალაშქრებამ ბაირონს სამშობლო დააკარგვინა, ხოლო მეამბოხური სულისკვეთების გულწრფელობამ, რაც მისი პოეტური ხმის სიხალისეში აირეკლა, იგი ჯერ იტალიელი კარბონარიების პატრიოტული მოძრაობის მესაიდუმლე გახადა, ხოლო ბოლოს დამონებული საბერძნეთის განმათავისუფლებელი ბრძოლის ქარცეცხლში შეაგდო.

ბაირონი გარდაიცვალა საბერძნეთში 1824 წლის 19 აპრილს. მისი ცხედარი ინგლისში ჩაასვენეს და ნიუსტედის მამულში დაკრძალეს — შორს მისი სამშობლოს დედაქალაქიდან, სადაც მაღალი საზოგადოების ყოფილ ლომს მკვდარსაც კი აღარ „ჩაესვლებოდა".

„ასეთი იყო ბოლო ამ დიდი, სახელმოხვეჭილი ინგლისელისა, — წერს ინგლისური ლიტერატურის ისტორიკოსი სემპსონი, — იგი უკეთ გაიგეს და უკეთ დააფასეს საზღვარგარეთ, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში".

**ნ. ყიასაშვილი.**

## საინტერესო მოვლენები სამყაროში

### ძრავა პარაფინზე

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში გამოიგონეს საავტომობილო ძრავის ახალი ტიპი, რომელსაც შეუძლია იმუშაოს სხვადასხვა საწვავი მასალით და პარაფინითაც კი. ძრავა შემუშავებულია ფირმა „ტეხასო ინკორპორეიშნის" ათი წლის მუშაობის შედეგად და, თანახმად ამერიკულ ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის" ცნობისა, მას ორჯერ უფრო დიდი სიმძლავრე აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ ძრავებს, რომლებიც საწვავ მასალად ბენზინს იყენებენ.

### ურანი ზღვის ფსკერიდან?

**დედამიწის** ზედაპირის ორი მესამედი ზღვები და ოკეანეებია და ამდენად დედამიწის ბუნებრივი მინერალური რესურსების დაახლოებით ამდენივე რაოდენობა წყლის ქვეშ იმყოფება. შარშან ამერიკელმა მეცნიერებმა ფილიპინების არქიპელაგთან დაიჭირეს ღრმა წყლების ბინადარი თევზი, რომელიც იმდენად რადიოაქტიური იყო, რომ ადამიანისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. რამდენადაც ეს გამოსხივება ბუნებრივ ხასიათს ატარებდა, მოსალოდნელია, რომ თევზის რადიოაქტიურობას განაპირობებდა ზღვის ფსკერზე ურანის მადნეულის მძლავრი საბადოების არსებობა.

## მებადურები გადაარჩინეს

**სევასტოპოლი,** 22 იანვარი (საკდესის კორ.). ხერსონესის კონცხის რაიონში უბედურება შეემთხვა ყირიმის ადმირალ ნახიმოვის სახელობის თევზმჭერი კოლმეურნეობის სეინერს „კალმახს".

მისაშველებლად გაემართნენ სამხედრო მეზღვაურები და ახლოს მყოფი თევზმჭერი გემები. ხილვადობა სამ მეტრს არ აღემატებოდა.

სტიქიასთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მეზღვაურებმა შეძლეს გაეჭიმათ გვარლი ნაპირზე. პატარა ტივებით, გვარლს ჩაჭიდებული, სეინერ „კალმახის" ეკიპაჟი ხმელეთზე გადავიდა. ყველა მებადური, რომელსაც თავს დაატყდა უბედურება, გადარჩა.

## კომუნისტი სპორტი

### თბილისი-ბევერვიიკი

22 იანვარს ბევერვიიკის საჭადრაკო ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ.

# ლიდერთა შეხვედრა

გუშინ მოჭადრაკეები კვლავ ჩაებნენ ბრძოლაში. დილით მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. თუ რა ბედი ეწია ფრეიჰენს-გაფრინდაშვილის პარტიას, ამასთანავე რით დამთავრდა მეექვსე ტურის შეხვედრები, პირველ რიგში კი ლიდერების იოვანოვიჩისა და გაფრინდაშვილის პარტია, ამ კითხვებზე მსოფლიოს ჩემპიონმა ტელეფონით გვაცნობა:

— ჩემი და ფრეიჰენსის გადადებული პარტია, სადაც გარკვეულ უპირატესობას ვინარჩუნებ, არ განახლებულა მოწინააღმდეგის ავადმყოფობის გამო. ფრეიჰენსის ავადმყოფობის გამო არ შემდგარა აგრეთვე მეექვსე ტურში მისი პარტია ჰეემსკერკთან. გომბაჩი ბრძოლის განუახლებლად დანებდა გადადებულ პარტიაში ნიკოლაუს.

მეექვსე ტურში ცენტრალურ პარტიად ითვლებოდა ჩემი შეხვედრა ლიდერთან იუგოსლაველ ახალგაზრდა მოჭადრაკე იოვანოვიჩთან. გათამაშდა სიცილიური დაცვა. შუა თამაშში ინიციატივა ხელთ ვიგდე. ორივენი ცაიტნოტში აღმოვჩნდით. მოწინააღმდეგე არ თმობდა პოზიციებს. იერიშის მიღების მიზნით მე პაიკი შევწირე იოვანოვიჩს, გზა გავუხსენი ჩემს ფიგურებს და მივიღე გარკვეული უპირატესობა. პარტია გადაიდო. ერთი საათის შესვენების შემდეგ მოხდება ამ პარტიის დამთავრება.

---

გვიან ღამით რედაქცია კვლავ დაუკავშირდა ბევერვიიკს. **ნ. გაფრინდაშვილმა** გვაცნობა, რომ მოწინააღმდეგე ბრძოლის განუახლებლად დანებდა მას.

ამრიგად, ნ. გაფრინდაშვილი ინარჩუნებს ლიდერობას. მას 5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, იოვანოვიჩს — 5 ქულა.

## მეტოქე ცნობილია

ფეხბურთელთა 16 კოლექტივი შეეცილება ჩემპიონობას ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობაზე 1964 წელს.

ცნობილია 2 გუნდი, რომლებიც წინასწარი შეხვედრების გაუმართავად დაშვებული არიან ფინალში. ეს კოლექტივებია იუგოსლავიისა და იაპონიის გუნდები.

იმისათვის, რომ გამოვლინდეს დანარჩენი 14 უძლიერესი, მოეწყობა შესარჩევი შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის აზიისა და ამერიკის 64 გუნდი.

ამ დღეებში კაიროში გაიმართა ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, სადაც მოეწყო წინასწარ შეხვედრებში მონაწილეთა წილისყრა, შედგა კალენდარი. სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს ორი მატჩი ექნება ფინეთის გუნდთან. შეხვედრები მოეწყობა მოსკოვსა და ჰელსინკში.

## რვა ფინალისტი

**როგორც** ვიუწყებოდით, თბილისის ჩემპიონი ჭადრაკში ჯერ კიდევ უკანასკნელ ტურამდე გამოვლინდა. ეს ტიტული მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ი. ჩიქოვანმა. მაგრამ დასკვნითს ტურს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომდევნო პრიზიორების, აგრეთვე იმ მოჭადრაკეთა გამოსავლინებლად, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პირველობის გათამაშების ფინალში.

უკანასკნელი ტური შედგა 22 იანვარს, ხოლო გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. მეორე ადგილი 11,5 ქულით დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა გ. კალატოზიშვილმა, მესამე — ოსტატობის კანდიდატმა ი. ვეტოხინმა.

დებულებით საქართველოს პირველობის ფინალში თბილისის ჩემპიონატიდან მონაწილეობას მიიღებს 8 უძლიერესი, ამიტომ გარდა ი. ჩიქოვანის, გ. კალატოზიშვილისა და ი. ვეტოხინისა დასკვნითს ასპარეზობაში გამოვლენ ჰ. არონშტეინი, ა. იზვოზჩიკოვი, მ. თხელიძე, თ. კიკიანი და ე. მიქაელიანი.

## სასამართლოს დარბაზიდან

# მკვლელს — სიკვდილი

**უქნარობაში,** ლოთობაში ატარებდა დღეებს თბილისელი ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ალთუნიანცი, იგივე ალთუნაშვილი. იგი სხვადასხვა დანაშაულისათვის რამდენჯერმე იყო მიცემული პასუხისგებაში. მაგრამ საჭირო დასკვნები ვერ გამოიტანა, ყოველთვის მოლიპული გზით სიარულს ამჯობინებდა...

თავაწყვეტილმა ხულიგანმა ვახტანგ ალთუნიანცმა დანით მოკლა მოქალაქე პ. ციპლუგინი, დაასახიჩრა შ. მიხანაშვილი...

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გაუსწორებელ რეციდივისტს, მკვლელ ვ. ა. ალთუნიანცს, სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილი მიუსაჯა.

სასამართლოს დარბაზში დამსწრენი მოწონებით შეხვდნენ ამ განაჩენს.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

**კ. კვარაციხელი.**

**რედაქტორი**
**დ. მჭედლიშვილი.**

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრები

24 იანვარი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** — დიდოსტატის მარჯვენა (მე-15 აბონ. მე-5 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — მესამე სურვილი (24-ე აბონ. 1-ლი სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (მე-16 აბონ. 1-ლი სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — დანაშაული და სასჯელი, **სა[illegible]** — ოჯახური დავიდარაბა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ტარტიუფი (აბონ. № 37, დილის 10 ს.), ბრაზილიის საუნჯე (აბონ. № 18, 4 ს.), **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენის „გაბედულთა კარნავალის" მსახიობთა გამოსათხოვარი გასტროლები.

## ტელევიზია

24 იანვარი

12.00 — მხატვრული ფილმი „[illegible] ბანდიტები", 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „აბა გამოიცანით", 18.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „სკოლების დასახმარებლად", 18.35 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.25 — გადაცემა — „რას გვთავაზობენ საწარმოთა ხელმძღვანელები", 19.40 — კინოჟურნალი, 19.50 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 20.10 — გადაცემა — „ოჯახი საბჭოთა მხატვრულ კინემატოგრაფიაში", 20.50 — კინონარკვევი, 21.00 — ახალი ამბები, 21.15 — მხატვრული ფილმი „განძი".

## კინო

24 იანვარი

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — ეჭვმიტანილი, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, დიდუბე** — შიშის ანბანი, **თბილისი** — სიკვდილმისჯილი გაიქცა, **კომკავშირელი** — ომი და მშვიდობა (I-II სერია), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი.

## რადიო

25 იანვარი.

**პირველი პროგრამით**

06.40 — ქართული ხალხური მელოდიები, 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების მსუბუქი მუსიკა, 09.10 — ტ. ბაქრაძე. კამერული ნაწარმოებები, 11.15 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი „შოპენი", 12.15 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 12.25 — არიები და ანსამბლები საბჭოთა კომპოზიტორების ოპერებიდან, 13.40 — ტარტინი. სონატა ვიოლინოსა და ორღანოსათვის, 17.15 — კამერული მუსიკა, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ე. ყიფიანის მოთხრობა „მთვარის საქანელა" (მეორე ნაწილი), 18.10 — პოპულარული მუსიკის კონცერტი. 18.45 — საგუნდო სიმღერები ქართული ოპერებიდან, 19.30 — საუბარი — „საწარმოო კომიტეტის პირველი ნაბიჯი", 20.15 — დებიუსი. ექვსი ანტიკური ეპიგრაფი, 20.30 — ნ. ბარათაშვილის ლექსები, 21.00 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 23.30 — შუბერტი. უნგრული დივერტისმენტი.

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

**ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-78-24, საილუსტრაციო — 3-20-48, განცხადებების — 9-94-42.

უე 00325 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.